



.....

**საბჭოთა დიქტატორული
მოპოვებული საქართველოში**

.....

ავტორები: ანტონ ვაჭარაძე,
გიორგი კლდიაშვილი

რედაქტორები: ლევან ავალიშვილი,
მეგი ქარცივაძე,
ნინო გოზალიშვილი,
ნინო მერებაშვილი-ფიშერ

კორექტორი: ქეთევან ყანჩაშვილი



შვედეთი
Sverige



ინფორმაციის თავისუფლების
განვითარების ინსტიტუტი

მოცემული მასალის მომზადება დაფინანსებულია შვედეთის საერთაშორისო განვითარების თანამშრომლობის სააგენტოს, Sida-ს მიერ. შინაარსზე პასუხისმგებლობა სრულად ეკისრება მის შემქმნელს. Sida შესაძლოა არ იზიარებდეს გამოთმულ ხედვებსა და ინტერპრეტაციებს.

აბსტრაქტი	03
კვლევის მიზანი და ამოცანები	04
კვლევის მეთოდოლოგია	05
ძირითადი მიგნებები	06
შესავალი	08
საბჭოთა ტოკონიმიკის ცვლილების საერთაშორისო გამოცდილება	11
ტოკონიმიკის ცვლილების და ცვლილების მცდელობების ისტორია საქართველოში	16
ტოკონიმიკის ცვლილების ისტორია	16
მოსკოვის გაგზირი თბილისში და მისთვის სახელის გადარქმევის მცდელობები	19
„ქალების სახელები ქუჩებს“	20
საბჭოთა ტოტალიტარული ტოკონიმიკის ცვლილების სამართლებრივი საფუძვლები თანამედროვე საქართველოში	21
საბჭოთა ტოკონიმიკა საქართველოში - ზოგადი ტენდენციები	24
რაოდენობრივი ანალიზი	30
ცალკეული დასახლებული პუნქტების შემთხვევების ანალიზი	33
თბილისი და მისი გარეუბნის სოფლები და დასახლებული პუნქტები	33
ზუგდიდის მუნიციპალიტეტი	34
ზესტაფონის მუნიციპალიტეტი	37
ხონის მუნიციპალიტეტი	37
ეთნიკური უმცირესობებით დასახლებული საქართველოს მუნიციპალიტეტები: ახალქალაქი, მარნეული, ნინოწმინდა, წალკა	38
რუსული და არამართო რუსული ტოკონიმიკის სახელწოდების მატარებელი ქუჩები და დასახლებული პუნქტები	40
დასკვნა	42
რეკომენდაციები	45

აღნიშნული კვლევის მიზანია, დაადგინოს საქართველოს სახელმწიფოს კონტროლირებად ტერიტორიაზე არსებული კომუნისტური, ტოტალიტარული რეჟიმის სახელწოდებების მატარებელი დასახლებული პუნქტების, ქუჩების, სკვერების, მოედნების და სხვა ტოპონიმიკის არსებობა. შეისწავლოს ამ მხრივ ყოფილი საბჭოთა ქვეყნების გამოცდილება და გამოყენებული მიდგომები და შეიმუშავოს რეკომენდაციები სახელწოდებების ცვლილებასთან დაკავშირებით/ აგრეთვე წაახალისოს საჯარო სივრცეში დისკუსია საბჭოთა, ტოტალიტარული სახელწოდებების აღმოსაფხვრელად და მათ ჩასანაცვლებლად.

კვლევის მიზანია საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული, საბჭოთა ტოტალიტარული სიმბოლიკის და მათ შორის სახელწოდებების აღმოფხვრის შესახებ დისკუსიის წახალისება, რაც ერთ-ერთი აუცილებელი ნაბიჯია დემოკუნიზაციის ჯერ კიდევ დაუსრულებელ პროცესში.

საბჭოთა სახელწოდებების აღმოფხვრა პოსტსაბჭოთა ქვეყნების მიერ დემოკუნიზაციის და თავსმოხვეული რუსიფიკაციის დაძლევის კუთხით დაგეგმილი და განხორციელებული მნიშვნელოვანი ღონისძიებაა. აღნიშნული პროცესი სხვადასხვა ქვეყანაში განსხვავებულად წარმართა: საქართველოში მას არეგულირებს საქართველოს პარლამენტის მიერ 2011 წელს მიღებული კანონი „თავისუფლების ქარტია“, რომელიც ერთ-ერთ მიზნად საბჭოთა ტოტალიტარული სიმბოლიკის, მათ შორის, სწორედ ქუჩების, მოედნების, სოფლების და დაბების კომუნისტური სახელწოდებების აღმოფხვრას ისახავს. საქართველოს მთავრობის 2015 წლის დადგენილება „მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებში მდებარე გეოგრაფიული ობიექტების სახელდების წესის დამტკიცების შესახებ“ კი თვითმმართველ ერთეულებს ვალდებულებას უწესებს შეცვალონ გეოგრაფიული ობიექტების საბჭოთა ბოლშევიკურ რეჟიმთან დაკავშირებული სახელები. თუმცა, აღნიშნული აქტებით გათვალისწინებული პირობები, რიც შემთხვევაში, დღემდე არ შესრულებულა, რის მიმოხილვასაც წარმოადგენს მიმდინარე კვლევა.

საბჭოთა სახელწოდებების პრობლემატიკით მკვლევრები და საზოგადოებრივი აქტივისტები წლების მანძილზე არიან დაინტერესებული, თუმცა საკითხი სრულყოფილად ჯერ არ შესწავლილა. 2018 წლის 7 თებერვალს „საერთაშორისო გამჭვირვალობა - საქართველომ“ გამოაქვეყნა სტატია - „საბჭოთა სახელწოდების ქუჩები და სოფლები ზუგდიდში“¹, თუმცა ქვეყნის სრული მასშტაბით კვლევა არ ჩატარებულა, შესაბამისად, აღნიშნული კვლევა წარმოადგენს პირველ კომპლექსურ დოკუმენტს ამ საკითხზე.



საბჭოთა სახელწოდების ქუჩები და სოფლები ზუგდიდში

წყარო: www.transparency.ge

¹ <https://transparency.ge/ge/blog/sabchota-saxelcodebis-kuchebi-da-soplebi-zugdidshi> (ბოლოს ნანახია: 2 ივნისი, 2021).

კვლევის მიზნით, IDFI-მ საქართველოს მუნიციპალიტეტებიდან ელექტრონული წერილების საშუალებით საჯარო ინფორმაცია გამოითხოვა. მუნიციპალიტეტების ნაწილმა წერილზე უპასუხა, რომ არ მოეპოვებოდა მსგავსი სახის სია, ნაწილმა, დადგენილი ვადის დაცვით, გამოაგზავნა ჩამონათვალი, ხოლო მუნიციპალიტეტების ნაწილმა კი კითხვა უპასუხოდ დატოვა. ელექტრონულად გაგზავნილ წერილებზე IDFI-მ პასუხები მიიღო ამბროლაურის, ბათუმის, ზუგდიდის, სენაკის, ვანის, თეთრიწყაროს, თერჯოლის, დმანისის, მარნეულის, კასპის, მცხეთის, რუსთავის, სიღნაღის და თელავის მუნიციპალიტეტებიდან.

მუნიციპალიტეტების გარდა, მიმართვები ქუჩების სახელწოდებების სრული სიის მოწოდების მოთხოვნით გაგზავნათ საქართველოს იუსტიციის სამინისტროს სახელმწიფო სერვისების განვითარებისა და საჯარო რეესტრის ეროვნულ სააგენტოებს, თუმცა ამ უწყებებმა წერილები უპასუხოდ დატოვეს.

ინფორმაციის არასრულყოფილად მიღების გამო, IDFI-მ კვლევისთვის გამოიყენა მონაცემები საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს მიერ შექმნილი „ახალი საკადასტრო რუკიდან“, რომელიც ხელმისაწვდომია ვებგვერდზე - www.napr.gov.ge. თუმცა, რამდენიმე დასახლებული პუნქტის ქუჩების სახელწოდებები სრულად არც აღნიშნულ ბაზაში იყო წარმოდგენილი, ამიტომ ორგანიზაციამ კვლევისთვის გამოიყენა Google Maps მონაცემებიც, რომელიც, საჯარო რეესტრის საკადასტრო რუკასთან შედარებით, ნაკლებად ზუსტია და ზოგიერთი ქუჩის შეცვლილი სახელწოდება აკლია.

გარდა ზემოხსენებული ორგანოებისა, IDFI-მ მიმართა შპს „საქართველოს ფოსტას“, რომელმაც მიუთითა საკუთარ ვებგვერდზე - www.gpost.ge, თუმცა იქვე აღნიშნა, რომ იქ წარმოდგენილი მონაცემები არ იყო სრულყოფილი. საქართველოს ფოსტის გვერდიდან კვლევაში გამოყენებულია თბილისის და მისი გარეუბნის სოფლების ქუჩების სახელწოდებები.

სულ კვლევის ფარგლებში შესწავლილია საქართველოს სახელმწიფოს კონტროლირებადი ტერიტორიის ყველა ის ქალაქი, მუნიციპალური ცენტრი და სოფლები სადაც ქუჩებს და მოედნებს სახელწოდებები გააჩნიათ - სულ 80 დასახლებული პუნქტი.² ყოველივე ზემოხსენებულის გათვალისწინებით, შესაძლოა კვლევას არ გააჩნდეს 100%-იანი სიზუსტე, რადგან დასაშვებია ან შეცდომა ამა თუ იმ ვებ-გვერდზე, ან ცვლილების დაგვიანებით შეტანა. თუმცა, მიუხედავად ამისა, კვლევა ძირითად ტენდენციებს მაინც ასახავს.

² თბილისის გარეუბნების სოფლები კვლევის ფარგლებში ცალკე არაა გამოყოფილი, ისინი თბილისთან ერთად იქნა შესწავლილი.

- შესწავლილი 80 დასახლებული პუნქტიდან საბჭოთა სახელწოდებები სრულად აღმოფხვრილია 34 დასახლებულ პუნქტში, ხოლო 46 დასახლებულ პუნქტში ისინი კვლავაც გვხვდება. მათ შორის, 35 დასახლებულ პუნქტში გვხვდება ისეთი პიროვნებების, მოვლენების, ორგანიზაციების და ა. შ. სახელები, რომლებსაც მიუძღვით განსაკუთრებული დანაშაული საქართველოსა, თუ კაცობრიობის წინაშე.³
- ტოპონიმიკაში ფიგურირებს პიროვნებები, რომელთა სახელებსაც თანამედროვე რუსული პროპაგანდა აქტიურად იყენებს.
- კომუნისტური სახელწოდებების გარდა, საქართველოს ტოპონიმიკაში კვლავ რჩება სახელწოდებები, რომლებიც წარმოადგენს რუსიფიკატორული პოლიტიკის გავლენას, რაც, უპირველეს ყოვლისა, გამოიხატება ქალაქების სახელობის ქუჩებში: ქვეყანაში დღემდე არსებობს მოსკოვის ოთხი ქუჩა, მათ შორის, დედაქალაქში, გამზირი. გარდაამისა, სხვადასხვა ქალაქში შემორჩენილია სანქტ-პეტერბურგის ორი ქუჩა, როსტოვის, ნოვოროსიისკის და სხვა ქუჩები. აგრეთვე, არსებობს კიროვაკანის და ლენინაკანის ქუჩები მიუხედავად იმისა, რომ ამ ქალაქების სახელები სომხეთში სამი ათეული წლის წინ შეიცვალა; მიუხედავად იმისა, რომ მსგავსი სახელწოდებები

³სხვადასხვა პიროვნებისა თუ მოვლენის და მის მიერ კაცობრიობის წინაშე დანაშაულის ჩადენის შესახებ მსჯელობა კომპლექსური საკითხია: უამრავი ისტორიული პიროვნება და რეჟიმი არ გასამართლებულა საერთაშორისო სასამართლო ორგანოების მიერ და მათი ქმედებები სამართლებრივად ჯერაც არ შეფასებულა. თუმცა, აღნიშნული კვლევის ფარგლებში, მსგავსი დასკვნების გაკეთების საფუძველს გვაძლევს არაერთი წყარო და ანალიზი. მაგალითად, აღნიშნული საკითხის შესახებ თანამედროვე, დასავლეთის წამყვანი ისტორიკოსების ნაშრომები: პულიცერის პრემიის მფლობელი ავტორი, ენ ეპლბაუმი თავის წიგნში „წითელი შიმშილი: სტალინის ომი უკრაინასთან“ (2017) ამ ისტორიულ მოვლენას გენოციდად აფასებს. იხ.: <https://www.radiotavisupleba.ge/a/en-eplbaumi-ukrainis-holodomorze/28758320.html> (ბოლოს ნანახია: 2 ივნისი, 2021).

ასევე, პრინსტონის უნივერსიტეტის მკვლევარს, ნორმან ნაიმარკს ეკუთვნის წიგნი - „სტალინის გენოციდი“ (2010) და ა.შ. სხვადასხვა ქვეყნის სახელმწიფოს არქივებში დაცულ საარქივო დოკუმენტებში ვხვდებით ხელმოწერებს და რეზოლუციებს, რომლითაც სტალინი გასცემს ბრძანებას ათეულობით ათასი პიროვნების რეპრესიების შესახებ. 1936-1950 წლებში საერთო ჯამში 400-მდე ე.წ. „სტალინური სიით“ 45,000-მდე ადამიანი, მათ შორის, საქართველოში 3,616 ადამიანი იქნა რეპრესირებული, მათი უმეტესობა - დახვრეტილი. თანამედროვე კვლევებით დასტურდება, რომ ამ ადამიანების უმეტესობა უდანაშაულო იყო და ისინი და მათი ოჯახები მხოლოდ იდეოლოგიური განსხვავების გამო დაისაჯნენ. ამ და სხვა არაერთი ავტორიტეტული ავტორის ნაშრომისა თუ საარქივო დოკუმენტის საფუძველზე, კვლევის ფარგლებში, სტალინი და ანალოგიურად სხვა მოღვაწეები ან ორგანიზაციები შეგვიძლია სამართლიანად და გაწერილ კრიტერიუმებზე დაყრდნობით, ემპირიულად მივაკუთვნოთ კატეგორიას, რომელთაც მიუძღვით დანაშაული საქართველოსა, თუ კაცობრიობის წინაშე.

იმგვარად მძიმე და/ან დატვირთულ ისტორიულ მნიშვნელობას შესაძლოა არ ატარებდეს, როგორც მაგალითად სტალინისა და სხვა საბჭოთა ლიდერების სახელებია, მათი დასახელება მაინც საბჭოთა მმართველობისა და იმდროინდელი პოლიტიკის კონოტაციას ატარებს და საქართველოს ისტორიული სიმბოლიკის ნაკლებად ორგანულ ელემენტს წარმოადგენს.

- რამდენიმე ქუჩას საბჭოთა ეპოქიდან შემორჩენილი აქვს ისეთი ადამიანის სახელი, რომელიც არანაირ მნიშვნელობას არ ატარებს საქართველოსთვის და, ზოგადად, არც მსოფლიოსთვის არიან ცნობილნი განსაკუთრებული დამსახურებით. მაგალითად, XIX საუკუნეში მოღვაწე რუსი მწერლისა და პუბლიცისტის, ნიკოლაი დობროლიუბოვის ქუჩა თბილისში ან გენერალ-მაიორ ივანე ვნუკოვის ქუჩა ზუგდიდში, რომლის ერთადერთი „დამსახურებაც“ ისაა, რომ იგი ამ ქალაქში ცხოვრობდა.
- შეცვლილი მონაცემების ასახვა Google-ის სისტემაში დაგვიანებით ხდება. მაგალითად, დუშეთში ცენტრალურ ქუჩას ეწოდება დავით აღმაშენებლის სახელი, თუმცა Google-ში დღემდე სტალინის სახელითაა ასახული.

მეხსიერების პოლიტიკა მრავლისმომცველი პრაქტიკაა, რომელიც ხშირად ადამიანების ყოველდღიურობაში იჭრება, ცვლის მას იმდენად, რამდენადაც აყალიბებს ახალ სიმბოლოებს, მნიშვნელობებსა და ასოციაციებს და ქმნის როგორც კოლექტიური წარსულისა და აწმყოს, ასევე მომავლის ხედვას. მეხსიერების პოლიტიკა, როგორც წესი, მოიცავს ახალი ისტორიული, ნაციონალური და პოლიტიკური ნარატივების ფორმირებას, ძველის შეცვლას, აღდგენას ან შეფასებას. იგი შეიძლება აისახებოდეს კანონმდებლობაზე, სასკოლო სახელმძღვანელოებზე, ნაციონალურ სიმბოლოებზე, მუზეუმებზე, ძეგლებზე, მემორიალებზე და ა. შ. ერთ-ერთი მნიშვნელოვანი განზომილება, რომელშიც კონკრეტული ქვეყნების მეხსიერების პოლიტიკა ყველაზე აშკარად ვლინდება, ძირითად ქუჩების, ასევე მოედნების, სოფლების და ა.შ. სახელებია. ქუჩებისთვის სახელების დარქმევა და გადარქმევა მემორიალური მიზნით არის ურბანული გარემოს ვირტუალურ პოლიტიკურ სივრცედ გარდაქმნის ერთგვარი ინსტრუმენტი. ეს არის მაგალითი იმისა, თუ როგორ ხდება ხელისუფლების, რომელსაც გააჩნია კონკრეტული პოლიტიკური დღის წესრიგი, მიერ საჯარო სივრცეების ათვისება კოლექტიური წარსულისა და მომავლის ხედვის შექმნის მიზნით.⁴

ქუჩის სახელწოდება ყოველთვის სიმბოლური მნიშვნელობის მატარებელი არ არის და ზოგჯერ მას მხოლოდ პრაქტიკული დანიშნულება აქვს. ამის მაგალითია ნიუ-იორკის ქუჩების უმრავლესობა, სადაც ქუჩების სახელები უბრალოდ დანომრილია ან ანბანის მიხედვითაა გადანაწილებული. მსგავსი პრაქტიკა დამკვიდრებულია საქართველოს ზოგიერთ სოფელშიც, თუმცა, უამრავ ქვეყანაში, მათ შორის საქართველოშიც, ვხვდებით ქუჩებს, რომლებიც გამოჩენილი პოლიტიკური, საზოგადო თუ კულტურული მოღვაწეების, ასევე მნიშვნელოვანი ისტორიული მოვლენების სახელებს ატარებს (მაგალითად, შოთა რუსთაველის გამზირი, ილია ჭავჭავაძის გამზირი, რესპუბლიკის მოედანი და ა. შ.). როგორც წესი, ამგვარი ქუჩები ე. წ. ბანალური ან ყოველდღიური ნაციონალიზმის გამოვლინებაა, რაც გულისხმობს ნაციონალიზმის ყოველდღიურ რეპრეზენტაციას, რაზეცაა დაშენებული ერის კოლექტიური იდენტობა.⁵ ამგვარი „ისტორიული“ სახელწოდებების დანიშნულებაა ერის კოლექტიური მეხსიერების ფორმირება, გამყარება და შენარჩუნება. ქუჩებისთვის „ისტორიული“ სახელების მინიჭება არის პოლიტიკური აქტი, რომლის მიზანიც არის საზოგადოების ყოველდღიურობაში გადაიტანოს ისტორიის ის ვერსია, რომელზეც არის დაშენებული ამ საზოგადოების ეროვნული ნარატივი, ან მოჰყვეს ისტორიის იმ ვერსიას, რომელიც მისაღებია მმართველი პოლიტიკური გუნდისთვის. შესაბამისად, ქუჩების სახელწოდებები მეტყველებს იმ ადამიანების ან საზოგადოების ღირებულებებზე, რომელმაც კონკრეტული სახელები აარჩია.⁶

⁴ Azaryahu M. The Power of Commemorative Street Names. *Environment and Planning D: Society and Space*. 1996, 14(3), pp. 311-330.

⁵ Billing, M. *Banal Nationalism*, Sage Publications, 1995.

⁶ Palonen, E. *The Politics of Street Names: Local, National, Transnational Budapest, Local Memories in a Nationalizing and Globalizing World*, Palgrave Macmillan, 2015, pp. 51-71.

იმის გამო, რომ ერის კოლექტიური მემსიერების ფორმირებაში ქუჩის სახელებს ამგვარი, ერთი მხრივ, სიმბოლური, მეორე მხრივ კი, პოლიტიკური დატვირთვა აქვს, საბჭოთა კავშირის დროს, ქუჩებისთვის სახელების არჩევას დიდი მნიშვნელობა ენიჭებოდა.⁷ მაშინდელი ქუჩის სახელები მეტყველებდა არსებული კომუნისტური რეჟიმის იდეალებზე.⁸ ქუჩებს არქმევდნენ კომუნისტი ლიდერების, გმირების, მნიშვნელოვანი ისტორიული მოვლენების სახელებს. სწორედ ასე გაჩნდა საქართველოში ლენინის მოედანი, სტალინის სახელობის ქუჩები და სხვა. საბჭოთა კავშირის დანგრევის შემდეგ, იქიდან გამომდინარე, რომ საქართველომ დემოკრატიზაციისა და ევროინტეგრაციის კურსი აირჩია და ქვეყანაში საბჭოთა წარსულის მნიშვნელობის გადააზრება სისტემურ დონეზე დაიწყო, მემსიერების პოლიტიკის ასპარეზზეც დაიწყო ბრძოლა კომუნისტური, საბჭოთა იდეალების წინააღმდეგ. ამგვარად, საქართველოში ნელ-ნელა იცვლებოდა იმ ქუჩების სახელები, რომლებიც კომუნისტურ რეჟიმს გამოხატავდნენ, თუმცა ეს პროცესი არასოდეს ყოფილა თანმიმდევრული და ერთგვაროვანი. შედეგად, საქართველოს სხვადასხვა მუნიციპალიტეტში დღემდეა შემორჩენილი ქუჩები, რომელთა სახელებიც კომუნისტური რეჟიმის იდეალების გამოხატველია და, შესაბამისად, წინააღმდეგობაშია იმ ოფიციალურად დეკლარირებულ პოლიტიკურ კურსთან, რომელსაც ქვეყანა მისდევს საბჭოთა კავშირიდან დამოუკიდებლობის გამოცხადების დღიდან.

ეფექტური მემსიერების პოლიტიკის გატარება ქვეყნის სრულყოფილი დემოკრატიზაციის აუცილებელი წინაპირობაა, განსაკუთრებით მაშინ, როდესაც ქვეყანას მიმდინარე რუსული ოკუპაციის პირობებში უწევს არსებობა. იმისათვის, რომ კომუნისტური წარსულის მქონე ერი სრულფასოვნად მოერგოს დემოკრატიულ წყობასა და იდეალებს, აუცილებელია, რომ მის კოლექტიურ ცნობიერებაში ადეკვატურად შეფასდეს კომუნისტური რეჟიმის დანაშაულები, დამნაშავეებს დაერქვას დამნაშავეის სახელი, კომუნისტური იდეალები კი ახალი, დემოკრატიული და ლიბერალური იდეების გამომხატველი სიმბოლოებით ჩანაცვლდეს. ცხადია, ეს არ ნიშნავს იმას, რომ საზოგადოებამ უარი უნდა თქვას საკუთარ უახლეს ისტორიაზე და მისგან ამოშალოს ყველა და ყველაფერი, რაც კომუნიზმთან არის დაკავშირებული. ამ მხრივ, ახალ რეალობასთან თავსებადი კოლექტიური მემსიერების ფორმირებისთვის ხელისშემშლელი არაა ისეთი საბჭოთა ფიგურების სახელობის ქუჩების არსებობა, როგორებიც იყვნენ, მაგალითად, პორფირე ჩანჩიბაძე და ჭიჭიკო ბენდელიანი - ქართველი სამხედროები, რომლებმაც მნიშვნელოვანი წვლილი შეიტანეს მეორე მსოფლიო ომში ნაცისტების/ფაშისტების წინააღმდეგ ბრძოლაში. თუმცა, მეორე მხრივ, პრობლემურია ისეთი საბჭოთა ფიგურების სახელობის ქუჩების არსებობა, როგორებიც იყვნენ ლენინი, სტალინი, ბერია და სხვ. - პიროვნებები, რომელთა უშუალო მეთაურობითაც ხორციელდებოდა როგორც საქართველოს საბჭოთა

⁷ Azaryahu M. Street Names and Political Identity: The Case of East Berlin. *Journal of Contemporary History*. 1986, 21(4), pp. 581-604.

⁸ Manucharyan, A. The Reflection of Communist Ideology in the Street Renaming Policy in Soviet Yerevan (1921-1939), *Analytical Bulletin*. nb.: <https://cccsysu.com/wp-content/uploads/2016/05/Manucharyan-Nelly-2.pdf> (ბოლოს ნანახია: 2 ივნისი, 2021).

ოკუპაცია, ასევე საყოველთაო ტერორი საკუთარი ქვეყნის მოქალაქეების მიმართ და რომლებმაც შექმნეს ტოტალიტარული სახელმწიფო, რომელმაც მილიონობით ადამიანის სიცოცხლე, ჯანმრთელობა და თავისუფლება იმსხვერპლა. თუმცა, იმდენად, რამდენადაც აღნიშნულ ორ კატეგორიას შორის ზღვარი ზოგ შემთხვევაში ნაკლებად სადავოა, იმდენად მისი გავლება რთულდება, გამომდინარე საარქივო მასალაზე ხელმისაწვდომობის სიმწირისა და ზოგადად, საბჭოთა პერიოდის ისტორიოგრაფიის პოლიტიკურად დატვირთული მახასიათებლების გამო.

ბოლო სამი ათწლეულის მანძილზე, საბჭოთა კავშირის დაშლის შემდეგ, ყოფილი საბჭოთა კავშირის მთელს ტერიტორიაზე აქტიურად დაიწყო ტოპონიმიკის შეცვლა. თუმცა, ქვეყნებმა ამ მხრივ სხვადასხვა გზა აირჩიეს:

- ტოპონიმიკის შეცვლის არსი და მიზანი, ძირითადად, ემსახურებოდა დეკომუნიზაციას, ხოლო ზოგიერთ ქვეყანაში - დერუსიფიკაციასაც⁹;
- რუსეთსა და ბელარუსში დეკომუნიზაცია არც დაგეგმილა, შესაბამისად კომუნისტური სახელწოდებები ნაწილობრივ შეეცვალა მხოლოდ ქალაქებსა და სოფლებს, ხოლო ქუჩებს კვლავ რჩება საბჭოური სახელწოდებები;
- ბალტიისპირეთის ქვეყნებში საბჭოთა ტოპონიმიკა თითქმის სრულად აღმოიფხვრა. ზოგიერთ ქვეყანაში, მათ შორის, საქართველოშიც, სახელწოდებების დიდი ნაწილის ცვლილების მიუხედავად, დღემდე არ ცხრება კამათი და დაპირისპირება ამა თუ იმ ტოპონიმის მიზანშეწონილობის თაობაზე.

საბჭოთა კავშირში არსებული დაახლოებით 2,500 ქალაქიდან სახელწოდება შეეცვალა 190-ს. სახელების გადარქმევის პირველი და ყველაზე ძლიერი ტალღა სხვადასხვა ქვეყანაში, მეტ-ნაკლები სინქრონულობით, 1989-1993 წლებში განხორციელდა და, უმეტესწილად, 90-იანების შუა პერიოდში დასრულდა.



წარწერა ბანერზე - ამხანაგებო! დამრტყმელი შრომით აღვნიშნავთ მაღალ ღირსებას გვერქვას ქალაქ უსტინოვის მოქალაქეები!

ქალაქი იჟევსკს უსტინოვი ეწოდებოდა ზუსტად 904 დღის მანძილზე, 1984 წლის 27 დეკემბრიდან - 1987 წლის 19 ივნისამდე.

წყარო: www.izhlife.ru

⁹ მრავალ საბჭოთა რესპუბლიკაში პროტესტი არა მხოლოდ საბჭოურ არამედ ზოგადად რუსული ტოპონიმიკის წინააღმდეგ იყო მიმართული: ყაზახეთში მაგალითად სახელი შეეცვალა ქალაქს - შევჩენკო, აზერბაიჯანში - პუშკინოს, მოლდოვაში - სუვოროვოს და ა.შ.

ისტორიულ ქრონოლოგიას თუ გადავხედავთ, ამ პროცესის დასაწყისად შეიძლება მივიჩნიოთ მღელვარება ქალაქ იჟევსკში: 1984 წლის 27 დეკემბერს ქალაქის სახელის გადარქმევამ დიმიტრი უსტინოვის საპატივსაცემოდ (ერთი კვირით ადრე გარდაცვლილი, სსრკ თავდაცვის მინისტრი) მოქალაქეების შფოთი და პროტესტი გამოიწვია, გაზეთმა „უდმურტეთის კომსომოლმაც“ (Удмуртский Комсомолец) კი გარისკა და გააშუქა პრობლემა. მღელვარებამ ცეკამდე მიაღწია და საბოლოოდ, 1987 წლის 19 ივნისს, ქალაქს პირვანდელი სახელი დაუბრუნეს. იგივე ბედი გაიზიარეს ახალმა ქალაქებმა: ბრუჟნევი, ანდროპოვი, ორი ჩერნეხოვო..., რომლებიც მალევე გაქრნენ რუკიდან.

ცვლილებას გააჩნდა სამართლებრივი განზომილება: არაერთ პოსტსაბჭოთა რესპუბლიკაში საბჭოთა სიმბოლიკა და სახელწოდებები კანონით აიკრძალა. ასე მაგალითად, უკრაინაში 2015 წლის მაისში პრეზიდენტმა პეტრო პოროშენკომ ხელი მოაწერა კანონს, რომლითაც აიკრძალა კომუნისტური რეჟიმისა და სიმბოლიკის პროპაგანდა. 2010 წელს ლიეტუვაში შემოიღეს სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობა საბჭოთა კავშირის მიერ რესპუბლიკისა და მისი მაცხოვრებლების წინააღმდეგ მიმართული დანაშაულებების უარყოფის ან დანაშაულის მასშტაბის მნიშვნელოვნად დამცრობის მხარდამჭერთა წინააღმდეგ. 2012 წლის 1 ოქტომბერს მოლდოვაში ამოქმედდა კანონი, რომლითაც აიკრძალა პოლიტიკური მიზნით კომუნისტური სიმბოლიკის გამოყენება.¹⁰

თუმცა, სამართლებრივი მიდგომა სხვადასხვა ქვეყანაში ერთგვაროვანი არ არის და ქვეყნებს შორის არსებობს მნიშვნელოვანი განსხვავებებიც: მაგალითად, ლიეტუვასა და უკრაინაში პირველ რიგში ეს ეხება პიროვნებების ან/და მოვლენების კატეგორიზაციას. ლიეტუვაში 1990-იანი წლებიდან უკლებლივ ყველა ისეთი პიროვნების/ ორგანიზაციის სახელწოდება შეიცვალა, რომელიც დაკავშირებული იყო საბჭოთა პარტიულ ნომეკლატურასთან, იქნებოდა ეს მაგალითად ლიეტუვის კომპარტიის პირველი მდივანი თუ იური გაგარინი. დღემდე მიმდინარეობს დებატები საბჭოთა ეპოქაში მოღვაწე კულტურის სფეროს მუშაკების - პოეტების, მსახიობების, თეატრალების და ა.შ. სახელების ცვლილებასთან დაკავშირებით.¹¹

განსხვავებული მიდგომა აირჩია უკრაინამ: 2015 წელს ქვეყნის პარლამენტმა მიიღო კანონი (No. 317-VIII) – “კომუნისტური და ნაციონალ-სოციალისტური (ნაცისტური) ტოტალიტარული რეჟიმების დაგმობის და მათი სიმბოლოების გავრცელების აკრძალვის შესახებ”, რომელიც გმობს კომუნისტურ და ნაცისტურ ტოტალიტარულ რეჟიმებს და ახდენს კომუნისტური და ნაცისტური სიმბოლოების თანამედროვე პროპაგანდის კრიმინალიზებას; ადგენს ქუჩების, დასახლებების და სხვა ტოპონიმების, აგრეთვე იურიდიული პირების სიას რომლებსაც უნდა გადაერქვას სახელი; განსაზღვრავს ძეგლების დემონტაჟს. კანონი ასევე აკონკრეტებს, რომ მხოლოდ იმ

¹⁰ Русакова О. Ф., Русаков В. М. Агональный дискурс современной политики памяти // Дискурс-Пи. — 2015, Т. 12 (18), с. 13.

¹¹ იხ.: Violeta Davoliūtė, The Making and Breaking of Soviet Lithuania Memory and Modernity in the Wake of War, “Routledge”, 2013.

სახელწოდებებს უნდა გადაერქვათ სახელი, რომლებიც განადიდებენ ტოტალიტარულ რეჟიმს, ან იმ საბჭოთა სახელმწიფო ინსტიტუტების ან იმ კომუნისტი მოღვაწეების სახელობისაა, რომლებიც რეპრესიებში მონაწილეობდნენ. იგივე მიდგომა ვრცელდება მონუმენტების შემთხვევაში: კანონი არ ითვალისწინებს „დიდი სამამულო ომის“ ან იმ საბჭოთა მოღვაწეების მონუმენტების დემონტაჟს, რომელთაც დიდი როლი ითამაშეს უკრაინის მეცნიერებისა და კულტურის სფეროებში - ასეთ ჩანაწერს ვხვდებით კანონში.¹² შესაბამისად, უკრაინის კომპარტიის პირველი მდივნის (იმ შემთხვევაში თუ იგი არ იღებდა რეპრესიებში მონაწილეობას) და იური გაგარინის სახელების გადარქმევას უკრაინის კანონი არ ითვალისწინებს.

უკრაინის მაგალითი ტოპონიმის ცვლილებების პროცესში გამოსარჩევია: ქვეყანაში პირველ, არც ისე თანმიმდევრულ, ტალღას მოჰყვა დეკომუნიზაციისა და დერუსიფიკაციის მეორე, გაცილებით მასშტაბური და რადიკალური ტალღა 2013-2014 წლების „ევრომაიდანის“, ყირიმის ანექსიისა და აღმოსავლეთ უკრაინაში რუსეთის წინააღმდეგ გაჩაღებული ომის შემდეგ.¹³ 2014 წლამდე ქალაქების სახელწოდებების დეკომუნიზაცია ზომიერ ხასიათს ატარებდა - მხოლოდ 9 ქალაქს შეეცვალა სახელი. რადიკალურად შეიცვალა მდგომარეობა დონბასში დაძაბულობის შემდეგ და 2015 წლის კანონმა დეკომუნიზაციის შესახებ პოსტსაბჭოთა სივრცეში ყველაზე ფართომასშტაბიანი კამპანია გამოიწვია. ერთობლივად გადაერქვა სახელი 30-ზე მეტ ქალაქსა და სასოფლო დასახლებულ პუნქტს. შეეცვალა დასახელება არაოდიოზური საზოგადოებრივ-პოლიტიკური პერსონების სახელის მატარებელ ქალაქებსაც, მაგალითად - სტახანოვს დაერქვა კადიივკა, რომელიც ძირითადად პოლიტიკური მიზეზებით აიხსნება - ქალაქი რუსეთის მიერ ოკუპირებულ ტერიტორიაზე, ლუგანსკის ოლქში მდებარეობს. გარდა ამისა, უკრაინული საზოგადოების ნაწილში ყველაფერი „საბჭოური“ ასოცირებული გახდა ნეგატიურად აღქმულ ცნებებთან: „არადემოკრატიული“, „რუსული“ - ქვეყნის, რომელმაც ომი წამოიწყო მეზობელი ქვეყანასთან და მისი ტერიტორიები მიიტაცა. 2015 წლის შემდეგ ეს შეეხო ქვეყანაში მეორე მსოფლიო/ დიდი სამამულო ომის აღქმასაც¹⁴, მიუხედავად იმისა, რომ, როგორც ზემოთ აღინიშნა, შესაბამისი კანონმდებლობა ამ საკითხზე არ ფოკუსირდებოდა. აღსანიშნავია, რომ დეკომუნიზაცია უკრაინაში ჯერ კიდევ არ დასრულებულა.

სომხეთში დეკომუნიზაციის პროცესი საკმაოდ სწრაფად და მიზანმიმართულად წარიმართა და მრავალრიცხოვანი რევოლუციური (კიროვაკანი, ლენინაკანი) და ერთეული რუსული სახელწოდებების (კრასნოსელსკი) მატარებელი ქალაქების სახელების აღმოფხვრით დასრულდა. უფრო რთული იყო სიტუაცია აზერბაიჯანში, სადაც ფართოდ იყო დაქსელილი როგორც საერთო (კიროვობადი, ილიჩევსკი, ჟდანოვსკი, პორტ-ილიჩი), ისე ლოკალური (კასუმ-ისმაილოვი, მირ-ბაშირი, საფარალიევი, კაზი-მაგომედი, ხანლარი) რევოლუციური და პარტიული მოღვაწეების

¹² Anna Oliynyk & Taras Kuzio (2021): The Euromaidan Revolution, Reforms and Decommunisation in Ukraine, Europe-Asia Studies. DOI: 10.1080/09668136.2020.1862060.

¹³ https://polit.ru/article/2018/11/04/ps_renaming/ (ბოლოს ნანახია: 2 ივნისი, 2021).

¹⁴ https://www.bbc.com/russian/international/2015/05/150506_ukraine_ww2_perception (ბოლოს ნანახია: 2 ივნისი, 2021).

სახელობის ტოპონიმთა კორპუსი. გარდა ამისა, 1991-1992 წლებში ყარაბაღის კონფლიქტის ესკალაციასთან ერთად შეიცვალა ქალაქების ყველა სომხური, თითქმის ყველა რუსული და, ნაწილობრივ, „რევოლუციური“ სახელწოდებები.

სახელების გადარქმევის ზემოხსენებული ორი მთავარი მოტივის გარდა, იყო ასევე სხვა ლოკალური მიზეზებიც, როგორიცაა ეროვნული იდენტობის კონსტრუირების მცდელობა (თურქმენეთი, ტაჯიკეთი, აზერბაიჯანი, სომხეთი); კონფლიქტურ დაპირისპირებაში მყოფ ქვეყნებში მოწინააღმდეგის ტოპონიმების ლიკვიდაცია (აზერბაიჯანი, სომხეთი); ზოგან ქალაქებს ბანალურად უფრო კეთილხმოვანი და „ლამაზი“ სახელები მიანიჭეს ან მოხდა სემანტიკური ჟღერადობის გაუმჯობესება (ცენტრალური აზია, აზერბაიჯანი); რამდენიმე შემთხვევაში ადგილი ჰქონდა ლოკალური, ცოცხალი მმართველი პიროვნების კულტის აღზევებას (თურქმენეთი, ყაზახეთი), თუმცა, მთლიანობაში, უპირატესობა მაინც ენიჭებოდა ქალაქების ისტორიული სახელწოდებების დაბრუნებას. ახალი ტოპონიმიკის კონსტრუირებასთან ერთად ხდებოდა ისტორიული სიმართლის აღდგენა და სახელების დაბრუნება იიმ ქალაქებისათვის, რომლებიც საბჭოთა პერიოდში „დაზარალებდნენ“.

ქალაქების და სოფლების ტოპონიმიკის ცვლილების გარდა, მთელ რიგ ქვეყნებში, ჩანაცვლდა ქუჩების სახელწოდებები. ალექსანდრე დულიჩენკო თავის კვლევაში „სსრკ-ში „პერესტორიკის“ ეთნოსოციოლინგვისტიკა“ (Этносоциолингвистика “Перестройки” в СССР Антология запечатленного времени) ერთ-ერთ ქვეთავს „ონომასტიური გადატრიალება“ უძღვნის პოსტსაბჭოთა სივრცეში მიმდინარე სხვადასხვა ტოპონიმისათვის იდეოლოგიურად თავსმოხვეული სახელწოდებების განდევნის პროცესებს. ჯერ კიდევ 1987 წელს ოფესაში „კომსომოლის“ სახელწოდების პლიაჟს დაუბრუნდა ისტორიული სახელწოდება „ლანჟერონი“. კულიკოვოს პირველ შესახვევს ვალენტინ კატაევის სახელი მიენიჭა. ოფესაში გამოჩნდა ანა ახმატოვას, ხოლო კიევში - მარინა ცვეტაევის სახელობის ქუჩები. 1991 წლის 14 აგვისტოს კიშინიოვში გამოქვეყნდა ახალი ქუჩების და პროსპექტების სახელწოდებები. ქალაქის რუკიდან პრაქტიკულად აღიგავა საბჭოთა და რუსული ისტორიის თუ კულტურის ისეთი წარმომადგენლების სახელები, როგორიცაა მარქსი, ენგელსი, ლენინი, საბჭოთა არმია, 25 ოქტომბერი, წითელი არმია, პუგაჩოვი, სუვოროვი, გასტელო. ქუჩების ახალი სახელების კონოტაცია ცალსახად თავისუფალი ეროვნული სულისკვეთებით იყო განმსჭვალული. მაგალითად, ქუჩებმა მიიღო ისეთი სახელწოდებები, როგორიცაა „კონსტიტუციის“, „სახალხო თავისუფლების“ და ა. შ., ტალინში გაგარინის სახელობის ბულვარს დაუბრუნდა ძველი სახელი - ტომოლუიესტე, სუვოროვის ბულვარს კი - კაარლი. სახელი შეეცვალა მიჩურინის ქუჩასაც. ქალაქ ტარტუს აღმასკომის 1989 წლის 2 მარტის გადაწყვეტილებით, ქუჩებს მასიურად გადაერქვა სახელები. ასე მაგალითად, აბოვიანის ქუჩა გახდა მუნგის ქუჩა, კომკავშირის (კომსომოლის) ქუჩა - კრონუაიას ქუჩა, ოქტომბრის ბულვარი - ვაბადუძეს ბულვარი, ლენინგრადის შოსე - ნარვის შოსე, გაგარინის ქუჩა - ტინისსონის სახელობის გახდა და ა. შ.¹⁵

¹⁵ Александр Д. Дуличенко Этносоциолингвистика “Перестройки” в СССР, „Verlag Otto Sagner“, München 1999, с. 315-322.

2019 წელს კიევის საქალაქო საბჭომ მიიღო გადაწყვეტილება ქალაქის ცენტრში საბჭოთა კავშირის გმირისა და მზვერავის ივან კუდრის სახელობის ქუჩისათვის 2018 წელს გარდაცვლილი ამერიკელი სენატორის ჯონ მაკკეინის სახელის მინიჭების შესახებ¹⁶. აღსანიშნავია ყაზახეთის მაგალითიც: რესპუბლიკაში შექმნილია ონომასტიკური კომისია, რომლის მიზანია ტოპონიმებისათვის სახელების გადარქმევის პროცესების სახელმწიფოს ახალი ენობრივი პოლიტიკის შესაბამისად დარეგულირება. ყაზახი ხალხის ისტორიისათვის მრავალი მნიშვნელოვანი პირის სახელი მიენიჭა არაერთ საბჭოთა ქუჩას: ფრუნზეს ქუჩას - ჟანკოვ ბატირის, სვერდლოვის ქუჩას - ბაკტიბაი-ბატირა ტოლესულის, ლიბკნეხტის ქუჩას - ჟარილგასული შერნიაზის, საბჭოთა ქუჩას - მახამბეტ უტემისოვის, ლენინის პროსპექტს - აბილკაირ-ხანის, ენგელსის ქუჩას - ძმები ჟურბანოვების, კიროვის ქუჩას - ესეტ ბატირის და ასე შემდეგ.¹⁷

სახელების გადარქმევა არც ბალტიის ქვეყნებში წარმართულა წინააღმდეგობრივი მოვლენების გარეშე. ზოგან საბჭოელი გმირების სახელი არაერთგვაროვანი რეპუტაციის მქონე პიროვნებების სახელებით შეიცვალა: რიგაში კოსმონავტიკის ხეივანს, ადგილობრივი მოქალაქეების ნაწილის პროტესტის მიუხედავად, ჯოხარ დუდაევის სახელი მიენიჭა. 2017 წელს ლატვიის დედაქალაქში საზოგადოების ნაწილი კვლავ გამოვიდა ინიციატივით, ჯოხარ დუდაევის სახელი მიხეილ ზადორნოვის¹⁸ სახელით შეეცვალათ.¹⁹

უკრაინაში მეორე ტალღის ცვლილებების ეგიდით რამდენიმე სახალისო მაგალითსაც წავაწყდებოდით: იმიერკარპატების ოლქის ადმინისტრაციის უფროსის განკარგულებით, სოფელ კალინაში ლენინის ქუჩას ეწოდა „ბითლზის“ სოლისტის, ლენონის, სახელი. იმავე განკარგულებით, საბჭოთა სახელწოდებების მაგივრად ქუჩებმა მიიღეს დონბასში დაღუპული ადგილობრივი მცხოვრების, ჩეხოსლოვაკიის პრეზიდენტის, ტომაშ მასარიკის, და სხვათა სახელები.²⁰

ამგვარია ტოპონიმის ცვლილების პრაქტიკა პოსტსაბჭოთა სივრცეში. საქართველოში სახელწოდებების ცვლილება მეტწილად განხორციელდა, თუმცა 2021 წლისთვის ესა თუ ის ტოპონიმი ჯერ კიდევ იწვევს შეკითხვებს და დაპირისპირებას. კვლევა სწორედ ამ ვითარების აღწერას და დეტალურ ანალიზს წარმოადგენს.

¹⁶ <https://tass.ru/mezhdunarodnaya-panorama/6295878> (ბოლოს ნანახია: 2 ივნისი, 2021).

¹⁷ Гридина Т. А., Коновалова Н. И., Политическая лингвистика, 2019, № 1 (73), с. 34—41. იხ.: <http://journals.uspu.ru/attachments/article/2303/3.pdf> (ბოლოს ნანახია: 2 ივნისი, 2021).

¹⁸ მიხეილ ზადორნოვი (1948-2017) - ლატვიაში დაბადებული რუსი მწერალი, დრამატურგი, სატირიკოსი და იუმორისტი.

¹⁹ <https://tass.ru/obshchestvo/5234807> (ბოლოს ნანახია: 2 ივნისი, 2021).

²⁰ <https://meduza.io/news/2016/03/02/v-zakarpatskom-sele-ulitsu-lenina-preimenovali-v-ulitsu-lennona> (ბოლოს ნანახია: 2 ივნისი, 2021).

ტოპონიმიკის ცვლილების ისტორია

საქართველოში ტოპონიმების ცვლილებას ადგილი საბჭოთა ეპოქაშიც მრავლად ჰქონდა. ქალაქი ცხინვალს 1934 წლიდან სტალინირი ეწოდებოდა და მას 1961 წელს, ხრუშჩოვის ეპოქის დესტალინიზაციის ეგიდით შეეცვალა სახელი. საინტერესოა, რომ 2020 წელს დე-ფაქტო სამხრეთ ოსეთის რესპუბლიკის „პრეზიდენტის“, ანატოლი ბიბილოვის ბრძანებით, „დიდი სამამულო ომის“ დასრულების 75 წლისთავთან დაკავშირებით, იმ წლის 9 მაისსა (გამარჯვების დღე) და 22 ივნისს (დიდი სამამულო ომის დაწყების თარიღი) ცხინვალს მეორე, სიმბოლურ სახელწოდებად კვლავ სტალინირი ეწოდა.²¹ აღნიშნული გადაწყვეტილებით ბიბილოვმა ქალაქის ისტორიული ნარატივის გარკვეულწილად კვლავ საბჭოთა დისკურის ნაწილში მოქცევა სცადა.

1935 წელს ქალაქ ზესტაფონსა და ზესტაფონის რაიონს დაერქვა საეჭვო ვითარებაში გარდაცვლილი ბოლშევიკის, მთაწმინდის პანთეონში დაკრძალული სიმონ ჯუღელის სახელი. 1937 წელს ლავრენტი ბერიამ საქართველოს კომპარტიის ცეკას პლენუმზე წაკითხულ მოხსენებაში სიმონ ჯუღელი მავნებლებს შორის მოიხსენია და 1924 წლის აჯანყებაში მონაწილეობა დასდო ბრალად, რის შემდეგაც მთაწმინდის პანთეონიდან სიმონ ჯუღელის ძეგლი და საფლავი ერთ ღამეში გაქრა. 1938 წელს კი დახვრიტეს მისი მეუღლე, ნინო საბახტარაშვილი-ჯუღელი - მას თავისი ქმრის წინააღმდეგ ტერაქტის მოწყობა წაუყენეს ბრალად.²² აღნიშნული შემთხვევა ნათლად ასახავს საბჭოთა ისტორიოგრაფიის სპეციფიკას და მის მოწყვლადობას პოლიტიკურ დღის წესრიგთან მიმართებაში.

ანალოგიური ისტორიაა ამბროლაურთან დაკავშირებით, რომელსაც 1930-იან წლებში მცირე ხნით ეწოდა კიდეც ერთი ძველი ბოლშევიკის, აბელ ენუქიძის სახელი, ხოლო 1937 წელს, დახვრეტის შემდეგ გადაერქვა.²³

1921-1943 წლებში ისტორიულ ბოლნისს, რომელსაც 1818 წლიდან რუსეთის იმპერიამ სახელი კატერინენფელდი დაარქვა, 1919 წელს მოკლული კომუნისტის, როზა ლუქსემბურგის სახელი ეწოდებოდა. 1943 წელს ქალაქს დაუბრუნდა ისტორიული სახელწოდება - ბოლნისი, რისი ერთ-ერთი მიზეზიც შესაძლოა ქვემო ქართლის მკვიდრი გერმანელების სასწრაფო წესით გადასახლებაც ყოფილიყო, რომელიც გერმანიასა და საბჭოთა კავშირს შორის ომის დასაწყისს მოყვა. სავარაუდოდ, სახელი „ლუქსემბურგის“ გერმანული წარმოშობისა და ასევე იმის გამო, რომ სტალინის ეპოქაში „ძველი კომუნისტები“ პოპულარობით არ სარგებლობდნენ (არაერთი მათგანი 1937-

²¹ <https://imedinews.ge/ge/sazogadoeba/139249/anatoli-bibilovis-brdzanebit-tskhinvals-meo-re-sakheltsodebad-staliniri-etsoda> (ბოლოს ნანახია: 2 ივნისი, 2021).

²² <http://archive.ge/ka/blog/49> (ბოლოს ნანახია: 2 ივნისი, 2021).

²³ Е. М. Поспелов, „Имена городов: вчера и сегодня (1917-1992), Топонимический словарь“, Москва, „Русские словари“, 1993, с. 27.

1938 წლების რეპრესიებს ემსხვერპლა), რაიონმა და ქალაქმა დაიბრუნა ისტორიული, ქართული სახელწოდება.²⁴

XX საუკუნის პირველ ნახევარში სახელების „გაქართულების“ სხვა მაგალითებს შორის გამოსაყოფია სამხრეთ საქართველოს რაიონებში ტოპონიმიკის ცვლილება: 1932 წელს ბარმაქსიზი გახდა წალკა²⁵; რუსეთის იმპერიის ჯარისკაცების მიერ 1820-იან წლებში ისტორიული გარისისთვის დარქმეული სახელი - „Белый Ключ“ თურქეთიდან გადმოსახლებულმა სომხებმა და ბერძნებმა თარგმნეს როგორც „აღბულად“, ხოლო საბოლოოდ, 1940 წელს სახელი გაქართულდა და იქცა „თეთრიწყაროდ“²⁶; 1947 წელს ბაშკიჩეთი გახდა დმანისი²⁷, ხოლო შაჰ-აბასის I (XVII საუკ.) დროიდან დამკვიდრებულ ბორჩალოს დაუბრუნდა ისტორიული სახელი - მარნეული²⁸.

საბჭოთა ეპოქაში კომუნისტური იდეოლოგიის შესაბამისი სახელები დაერქვათ სოფლებსაც. საქართველოს სსრ რუკაზე სხვადასხვა დროს არსებობდა: კალინინო (ნინოწმინდის (ბოგდანოვკის) მუნიციპალიტეტი, თანამედროვე - სამება), ოქტომბერი (ხულოს მუნიციპალიტეტი, თანამედროვე - ქვემო ალმე და ყვარლის მუნიციპალიტეტი, თანამედროვე - ზინობიანი), ბუდიონოვკა-ვოროშილოვკა (მარნეულის მუნიციპალიტეტი, თანამედროვე - ყულარი), მოლოტოვო (წალკის მუნიციპალიტეტი, თანამედროვე - თრიალეთი), კრასნოგორსკი (საგარეჯოს მუნიციპალიტეტი, თანამედროვე - სათაფლე), მიქავა (წალენჯიხის მუნიციპალიტეტი, თანამედროვე - ფუქი) და ა.შ.

სოფლებიდან გამორჩევი ერთი შემთხვევა: სამხრეთ საქართველოში, ბოგდანოვკის (ნინოწმინდის) მუნიციპალიტეტში, 1937 წლამდე არსებობდა სოფელი ელიავაკანი, ბოლშევიკი პარტიული მოღვაწის, შალვა ელიავას პატივსაცემად. 1937 წლის 3 დეკემბერს ელიავას დახვრეტის შემდეგ სოფელს უწოდეს ეჟოვაკანი. აღნიშნულმა სახელწოდებამაც ვერ გაძლო დიდხანს, სოფელს 1939 წელს, ნიკოლაი ეჟოვის რეპრესიის შემდეგ სახელი გადაერქვა და ჯერ ეწოდა ჟდანოვი, ხოლო შემდეგ ჟდანოვაკანი, რომელიც სოფელს დღემდე შემორჩა.²⁹

საბჭოთა კავშირის ნგრევისა და დამოუკიდებლობის ეპოქის საწყის პერიოდში, საქართველოში ქალაქებისა და მუნიციპალური ცენტრების ტოპონიმიკის შეცვლა და მათთვის ისტორიული სახელების დაბრუნება შედარებით უმტკივნეულოდ წარიმართა, რასაც 1988 წლის 10 სექტემბრის ნომერში გაზეთი „კომუნისტი“ კი ეხმიანებოდა სტატიაში „დავიცვათ ისტორიული სახელწოდებანი“:*ჩაგომ უნდა ეწოდებოდეს, მაგა-*

²⁴ <https://bolnisi.gov.ge/bolnisis-shesaxeb/bolnisis-istoria> (ბოლოს ნანახია: 2 ივნისი, 2021).

²⁵ <http://tsalka.gov.ge/tsalkis-shesaxeb/tsalkis-istoria> (ბოლოს ნანახია: 2 ივნისი, 2021).

²⁶ ალაგთ ჰაბაზი, „გრიფონი“, თბილისი, 2020. იხ.: <https://bit.ly/3i9JUu6> (ბოლოს ნანახია: 2 ივნისი, 2021).

²⁷ <http://www.dmanisi.gov.ge/dmanisis-shesaxeb/dmanisis-istoria> (ბოლოს ნანახია: 2 ივნისი, 2021).

²⁸ <http://www.nplg.gov.ge/gwdict/index.php?a=term&d=25&t=984> (ბოლოს ნანახია: 2 ივნისი, 2021).

²⁹ სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტის შრომები, XIII, 2015, გვ. 23.

ღითად, ჩვენ ქადაგებს „მახაძე“ (ყოფილი „ოზურგეთი“), „მიხა ცხაკაია“ („სენაკი“), „წულუკიძე“ („ხონი“) ან „გეგეჭოხი“ („მაჩვილი“) მაშინ, როცა ახა გვაქვს „იღია ქავჭავაძე“ ან „აკაკი წეხეთელი“?³⁰

მედეგად, 1989 წელს ცხაკაია კვლავ გახდა სენაკი³¹, მახარაძე - ოზურგეთი, გეგეჭოხი - მარტვილი. 1990 წელს წულუკიძეს დაუბრუნდა სახელი ხონი, ორჯონიკიძეს - ხარაგაული. 1991 წელს მაიაკოვსკის ეწოდა ბაღდათი, ბოგდანოვკა გახდა ნინოწმინდა, ნითელწყარო - დედოფლისწყარო, ლენინგორი - ახალგორი.³²

საქართველოს ქალაქების და მუნიციპალური ცენტრების სახელწოდებების ცვლილებები კომუნისტური სახელწოდებებით და პირიქით - პერიოდობრივად



*2008 წლის რუსეთ-საქართველოს ომის შემდეგ საოკუპაციო რეჟიმმა, დე-ფაქტო სამხრეთ ოსეთის რესპუბლიკამ, მუნიციპალიტეტს დაუბრუნა საბჭოთა სახელწოდება - ლენინგორი

ამრიგად, 1980-1990-იან წლებში, საბჭოთა ტოპონიმის შეცვლა უმეტესად ეროვნული პროექტის შემუშავებასა და იდენტობის კონსტრუირებას უკავშირდებოდა. აღნიშნული პროცესი, ერთი მხრივ საქართველოს ისტორიის გადააზრებითა (რომელიც გვიანდელი 80-იანებისა და 90-იანების დასაწყისის პოლიტიკური დისკურსის მნიშვნელოვან ნაწილს შეადგენდა) და მეორე მხრივ, საბჭოთა პოლიტიკისა და მმართველობისადმი წინააღმდეგობრივობით იყო ინფორმირებული.

³⁰<http://science.org.ge/old/cevrebi/statiebi/3/Davicvat%20istoriuli%20saxelwodebani.pdf> (ბოლოს ნანახია: 2 ივნისი, 2021).

³¹ სენაკს 1935-1976 წლებში „მიხა-ცხაკაია“, ხოლო 1976 წლიდან „ცხაკაია“ ეწოდებოდა.

³² <https://archival-services.gov.ge/fonds/about> (ბოლოს ნანახია: 2 ივნისი, 2021).

ასევე იხ.: Е. М. Поспелов, „Имена городов: вчера и сегодня (1917–1992). Топонимический словарь“, Москва, „Русские словари“, 1993.

ცალკე ყურადღება იმსახურებს თბილისში, მოსკოვის 3.5-კილომეტრიანი გამზირი, რომელიც ქალაქში ფაქტობრივად ერთ საშუალო ზომის უბანს ქმნის. მიუხედავად იმისა, რომ დასახელება არ წარმოადგენს კომუნისტურ სიმბოლიკას და ქალაქი მოსკოვი XIII საუკუნიდან არსებობს, შესაბამისად „თავისუფლების ქარტიით“ დადგენილი საკანონმდებლო ნორმები ამ სახელწოდების აღმოფხვრას არ ითვალისწინებს, ეს სახელი პრობლემურია ქართველი ერის ეროვნული მეხსიერების კონტექსტში. ის ტკივილები, რომელიც საქართველომ დამოუკიდებლობის პერიოდში და ბოლო 220 წლის მანძილზე გამოიარა, დიდ წილად სწორედ „მოსკოვთან“ და „კრემლთანაა“ დაკავშირებული.

უკვე წლებია, სამოქალაქო აქტივისტები აპროტესტებენ თბილისში მოსკოვის სახელობის გამზირის არსებობას და მოითხოვენ, რომ მას სახელი გადაერქვას. 2017 წელს www.manifest.ge-ზე შეიქმნა პეტიცია, რომლის მთავარი მოთხოვნაც იყო, რომ მოსკოვის გამზირს გადარქმეოდა სახელი და დარქმეოდა „საქართველოს გამზირი“. პეტიციამ ჯამში 1001 ხელმოწერა დააგროვა. 2018 წელს კი, მოსკოვის გამზირის პირველ ნომერს სამოქალაქო აქტივისტთა ჯგუფმა აბრა შეუცვალა და არჩილ ტატუნაშვილის³³ სახელი მიანიჭა. მათ თბილისის მერიას წინადადებით მიმართეს, რომ ოკუპანტი ქვეყნის დედაქალაქის სახელწოდების ქუჩას ქართველი გმირის სახელი დარქმეოდა, თუმცა თბილისის მერი კახა კალაძე აღნიშნულ ინიციატივას არ გამოხმაურებია.³⁴ სამოქალაქო აქტივისტებმა მსგავსი აქცია-პერფორმანსი გამართეს 2019 წელსაც. მათ გამზირზე მიიტანეს აბრები, რომლებზეც 2008 წლის აგვისტოს ომში დაღუპული 170 მეომრის სახელები და გვარები ეწერა. ისინი მერიას სთავაზობდნენ, რომ მოსკოვის გამზირს შეცვლოდა სახელი და 170 დაღუპულთაგან რომელიმეს სახელი დარქმეოდა.³⁵

აღსანიშნავია, რომ მიუხედავად სამოქალაქო აქტივისტების არაერთი მოწოდებისა, დედაქალაქის ხელისუფლებას დღემდე არ გადაუდგამს ნაბიჯები ამ მიმართულებით. როგორც თბილისის საკრებულოს სახელდებისა და სიმბოლიკის კომისიის თავმჯდომარემ, თინათინ ნიბლოშვილმა, თქვა ერთ-ერთ ინტერვიუში, მოსკოვის გამზირისთვის სახელის შეცვლა იმითომ ვერ მოხერხდა, რომ ამაზე თავად მოსახლეობამ თქვა უარი. „სახელწოდების შეცვლაზე უახი თქვა მოსახლეობის დიდი ნაწილი. ზოგჯერ ხაღი ძალიან განიცდის „თანშეზიდი ისტორიის“ დათმობას. ეს ფაქტი საკითხია და საკრებულო ცდილობს, თუკი აუცილებლობას აჩვენოდა, ქუჩის სახელი აჩვენებდნენ. შედახებით ახლად დაჩქმეული ქუჩის სახელის გადაჩქმევა ბევრად ღირს მიგომას მოითხოვს, ვიდრე ძველი ქუჩისთვის სახელის გადაჩქმევა“, - განაცხადა მან.³⁶ ეს მაგალითი

³³ არჩილ ტატუნაშვილი - ოკუპირებულ ცხინვალის რეგიონში 2018 წელს მოკლული ქართველი სამხედრო.

³⁴ <https://www.radiotavisupleba.ge/a/მოსკოვის-გამზირი/29410062.html> (ბოლოს ნანახია: 2 ივნისი, 2021).

³⁵ <https://netgazeti.ge/news/385848/> (ბოლოს ნანახია: 2 ივნისი, 2021).

³⁶ <https://www.kvirispalitra.ge/public/53213-ratom-ar-gadaarqves-sakheli-moskovis-prospeqts.html> (ბოლოს ნანახია: 2 ივნისი, 2021).

მიუთითებებს საკითხის მრავალნახნაგურ და კომპლექსურ ბუნებაზე, რომელიც არა მხოლოდ მმართველ, არამედ საზოგადოებრივ დონეზეც იწვევს დისკუსიას. ამრიგად, ამ საკითხზე მსჯელობა ამ ორივე დონის ჩართულობასა და კომინიკაცია-დიალოგის აქტიურ რეჟიმს უნდა მოიცავდეს.

„ქალების სახელები ქუჩებს“

2014 წლის 16 დეკემბერს თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოსა და პაინრიხ ბიოლის ფონდის სამხრეთ კავკასიის რეგიონულ ბიუროს შორის ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმი გაფორმდა, რომელიც ითვალისწინებდა ქუჩების სახელების გენდერულად სენსიტიური პოლიტიკის შემუშავებასა და აღნიშნულ კამპანიაში მუნიციპალიტეტების ჩართვას. 2015 წელს თბილისის საკრებულომ საჯარო გახადა მონაცემები იმის თაობაზე, რომ თბილისში 1200 ქუჩიდან 1120 ქუჩას აქვს კაცის და მხოლოდ და მხოლოდ 79 ქუჩას - ქალის სახელი. წამოწყებული კამპანიის ფარგლებში დაიგეგმა, რომ ქუჩებისთვის/მოედნებისთვის სახელის დარქმევას პრიორიტეტი მინიჭებოდა იმ გამოჩენილ ქართველ ქალებს, რომლებმაც ქვეყნის ისტორიაში მნიშვნელოვანი როლი ითამაშეს, თუმცა საზოგადოებრივ მესხიერებაში ფაქტობრივად დავიწყებული არიან.³⁷ უკვე 2017 წლისთვის, თბილისში 25 ქუჩას მიენიჭა ქალი საზოგადო მოღვაწეების სახელი.³⁸ მხოლოდ 2019 წელს კი ამ სიას კიდევ 16 ქალის სახელობის ქუჩა დამატა.³⁹



2019 წელს, აკადემიკოს მარიამ ღორთქიფანიძის სახელობის ქუჩის გახსნის ცერემონია

წყარო: თბილისის საკრებულოს წევრის, თინათინ ნიბლოშვილის 2019 წლის ანგარიში

³⁷<https://www.radiotavisupleba.ge/a/kuchebis-sakhelebi-genderul-ambeshi/26779302.html> (ბოლოს ნანახია: 2 ივნისი, 2021).

³⁸ <https://netgazeti.ge/news/192096/> (ბოლოს ნანახია: 2 ივნისი, 2021).

³⁹ თბილისის საკრებულოს წევრის, თინათინ ნიბლოშვილის 2019 წლის ანგარიში. იხ.: <http://www.tbsakrebulo.gov.ge/uploads/angarishi/2019/tinatin%20nibloshvili.pdf> (ბოლოს ნანახია: 2 ივნისი, 2021).

კომუნისტური ტოტალიტარული და ფაშისტური სიმბოლიკის, საკულტო ნაგებობების, ძეგლების, მონუმენტების, ბარელიეფების, წარწერების, ქუჩების, მოედნების, სოფლებისა და დაბების სახელწოდებების აღმოფხვრას საქართველოში არეგულირებს საქართველოს პარლამენტის მიერ 2011 წელს მიღებული კანონი „თავისუფლების ქარტია“ და მის საფუძველზე შექმნილი კომისიის დებულება. ისევე როგორც საქართველოს ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი და საქართველოს მთავრობის 2015 წლის დადგენილება „მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებში მდებარე გეოგრაფიული ობიექტების სახელდების წესის დამტკიცების შესახებ“, რომელიც თვითმმართველ ერთეულებს ვალდებულებას უწესებს შეცვალონ გეოგრაფიული ობიექტების საბჭოთა ბოლშევიკურ რეჟიმთან დაკავშირებული სახელები. დედაქალაქში ტოპონიმის ცვლილების მთავარი მარეგულირებელი საკანონმდებლო აქტია ქ. თბილისის საკრებულოს 2011 წლის 27 მაისის №6-27 გადაწყვეტილება - „ქალაქ თბილისის ადმინისტრაციულ საზღვრებში მდებარე გეოგრაფიული ობიექტების სახელდების წესის დამტკიცების შესახებ“.

„თავისუფლების ქარტიის“ მე-7 მუხლი ითვალისწინებს კომისიის შექმნას სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურში (სუს), რომელიც „აგზოებს ინფორმაციას ადმინისტრაციული ორგანოების მიერ კომუნისტური ტოტალიტარული ან/და ფაშისტური სიმბოლიკის, აგებული სახელმწიფო ან მუნიციპალიტეტის საკუთრებაზე გამოყენების თაობაზე, ასევე საკულტო ნაგებობების, ძეგლების, მონუმენტების, ბარელიეფების, წაჩვენების შესახებ, ქუჩების, მოედნების, სოფლებისა და დაბების სახელწოდებების, აგებული მასობრივი თავშესაფრის სხვა ადგილების თაობაზე, რომელიც შეიცავს კომუნისტური ტოტალიტარული ან ფაშისტური იდეოლოგიების და პოპაგანდის ელემენტებს თუ ამ იდეოლოგიების დიდებას სახელებს“, მის შემდეგაც კომისია „მიმაჩთავს უფლებამოსილ პირს. კომისიის მიმაჩთვით შემთხვევაში უფლებამოსილი პირი ვადგენია აღმოფხვრას კომუნისტური ტოტალიტარული ან/და ფაშისტური სიმბოლიკა. ამ პუნქტით გათვალისწინებული უფლებამოსილი პირის მიერ კომისიის მითითების შესახებდგება ან აჩვენებდა შესხედება იწვევს კანონით გათვალისწინებულ პასუხისმგებლობას“.⁴⁰

უფლებამოსილ პირებს, რომელსაც „თავისუფლების ქარტით“ გათვალისწინებული კომისია მიმართავს, წარმოადგენს საქართველოს მუნიციპალიტეტები. მუნიციპალიტეტების საზღვრებში ქუჩების, ობიექტების ა.შ. სახელდება ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის თანახმად მუნიციპალიტეტების საკრებულოს უფლებამოსილებაში შედის.⁴¹

⁴⁰ საქართველოს კანონი - „თავისუფლების ქარტია“, კონსოლიდირებული პუბლიკაციები 15/07/2020.

⁴¹ საქართველოს კანონი - „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“, მუხლი 16, პუნქტი 2, ქვეპუნქტი „პ“ და მუხლი 24, პუნქტი 2, ქვეპუნქტი „ა.ე“, კონსოლიდირებული პუბლიკაციები 18/03/2021.

ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსით არის გათვალისწინებული პასუხისმგებლობის სახე ზემოხსენებული კომისიის მითითების შეუსრულებლობის ან არაჯეროვნად შესრულების შემთხვევაშიც: „საქართველოს კანონის „თავისუფლების ქაჩი“ მე-7 მუხლის მე-6 პუნქტით გათვალისწინებული კომისიის მითითების შეუსრულებლობა მის მიეხვე დადგენილ ვადაში ან ახაჯეხოვნად შესრულება - გამოიწვევს უფლებამოსილი პიხის გაფხთხილებას. 2. დადგენილი წესით მიცემული გაფხთხილების პიხობების შეუსრულებლობა ან ახასათანადოდ შესრულება - გამოიწვევს უფლებამოსილი პიხის დაჯახიმებას 1,000 ღახის ოდენობით“.⁴²

როგორც ნორმატიული აქტებიდან ირკვევა, „თავისუფლების ქარტია“ დამისაფუძვლებზე შექმნილი დებულება ითვალისწინებს მიმართვას სახელწოდებების აღმოფხვრის კუთხით, თუმცა აფასებს თუ არა კომისია ამა თუ იმ სახელწოდებას ინდივიდუალურად და რა პრინციპით არკვევს შეიცავს თუ არა სახელწოდება კომუნისტური ტოტალიტარული ფაშისტური იდეოლოგიების და პიოპაგანდის ედემენტებს და როგორ ახდენს შესაბამის კატეგორიზაციას - კანონით დადგენილი არ არის. დებულების მიხედვით დგინდება, რომ შექმნისას, კომისია შედგებოდა 8 წევრისგან. კომისიის მუშაობის ორგანიზაციულ-სამართლებრივი საკითხების მიხედვით კი: კომისიაში სხდომა უფლებამოსილია, თუ მას ესწრება კომისიის წევრთა შემადგენლობის ნახევარზე მეტი. „კომისიაში სხდომა უფლებამოსილია, თუ მას ესწრება კომისიის წევრთა შემადგენლობის ნახევარზე მეტი. კომისიაში თითოეულ წევრს აქვს ხელი ხმის უფლება; კომისიის გადაწყვეტილება მიიღება ღია კენჭისყრით, დამსწერ კომისიის წევრთა ხმების უბიადო უმრავლესობით. ხმების თანაბრად გაყოფის შემთხვევაში გადაწყვეტია კომისიის თავმჯდომარის ხმა“.⁴³

ინფორმაციის თავისუფლების განვითარების ინსტიტუტმა (IDFI) „თავისუფლების ქარტით“ გათვალისწინებული კომისიის საქმიანობის შესწავლის მიზნით, 2015 წელს გამოითხოვა საჯარო ინფორმაცია, რის საფუძველზეც გაირკვა, რომ 2015 წლამდე კომისია შეიკრიბა მხოლოდ ერთხელ და განიხილა მხოლოდ „თავისუფლების ქარტით“ გათვალისწინებული რეესტრის შექმნის მექანიზმები.⁴⁴ IDFI-მ 2018 წელსაც გამოითხოვა საჯარო ინფორმაცია სუს-იდან, რომლის მიხედვითაც ცნობილი გახდა, რომ კომისიამ 2016 წელს ორ უფლებამოსილ პირს გაუგზავნა მიმართვა კომუნისტური ტოტალიტარული სიმბოლიკის აღმოფხვრის მიზნით და 2017 წელს სამ მიმართვასთან დაკავშირებით, ინიციატორებს ეცნობათ სათანადო ინფორმაცია.⁴⁵

ყველაზე ბოლო, 2020 წელს სუს-იდან გამოთხოვილი საჯარო ინფორმაცია მიზნად ისახავდა 2017-2019 წლებში „თავისუფლების ქარტიის“ პრინციპების პრაქტიკაში

⁴² საქართველოს კანონი - „საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსი“, მუხლი 17416, კონსოლიდირებული პუბლიკაციები 16/03/2021.

⁴³ საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრის ბრძანება №167 - „თავისუფლების ქარტია“ საქართველოს კანონით განსაზღვრული კომისიის დებულებისა და კომისიის წევრების დამტკიცების თაობაზე, კონსოლიდირებული პუბლიკაციები 28/02/2014.

⁴⁴ <https://idfi.ge/ge/failed-lustration-in-georgia> (ბოლოს ნანახია: 2 ივნისი, 2021).

⁴⁵ https://idfi.ge/public/upload/IDFI_2019/archives_idfi/Kldiashvili_Lustration.pdf (ბოლოს ნანახია: 2 ივნისი, 2021).

განხორციელების შეფასებას. 2017-2019 წლებში კომისიამ ჯამში 37 უფლებამოსილ პირს მიმართა კომუნიკური ტოტალიტარული და ფაშისტური იდეოლოგიების მატარებელი სიმბოლიკისა და კომუნიკური ტოტალიტარული და ფაშისტური იდეოლოგიების საფუძვლების გაღვივების აღმოფხვრის მიზნით (აქედან 2017 წელს – 0 მიმართვა, 2018 წელს – 5, ხოლო 2019 წელს – 32).⁴⁶ „თავისუფლების ქარტიით“ გათვალისწინებული კომისიის საქმიანობა სახელწოდებების აღმოფხვრის კუთხით, რაც ითვალისწინებს უფლებამოსილ პირთათვის მიმართვას, 2019 წელს წინა წლებთან შედარებით გააქტიურებულია.

მეორე ნორმატიული აქტი - საქართველოს მთავრობის 2015 წლის დადგენილება ითვალისწინებს გეოგრაფიული ობიექტებისთვის (გეოგრაფიულ ობიექტში მოიაზრება მოედანი, პროსპექტი (გამზირი), გზატკეცილი, ქუჩა და ა.შ.) ძველი სახელწოდების აღდგენას ან გადარქმევასაც, რომლის ე) პუნქტის თანახმად: „ისტორიულ ვითარებათა და სხვა ობიექტუხ გახეშობათა გამო მიზანშეწონილია სახელწოდების შეცვლა;“ ხოლო ვ) პუნქტის თანახმად: „იცვლება შემოიხრენილი საბჭოთა ბოღშევიკუხ ხეჟიმთან დაკავშირებული სახელწოდებები“.⁴⁷ გახდა ამისა, დადგენილების თანახმად, „გეოგრაფიული ობიექტების სახელდების თაობაზე ინიციატივის წახდგენაზე უდებამოსილია: ა) მუნიციპალიტეტის გამგებელი/მეიხ; ბ) მუნიციპალიტეტის საკებუდოს წეჟი; გ) საქაითვედოს იუსტიციის სამინისტგოს მმაითვედობის სდეჟოში მოქმედი საჯაჟო სამაითდის იუჟიდიუდი პიჟი - საჯაჟო ხეესტჟის ეჟოვნუდი სააგენტო; დ) მუნიციპალიტეტის საკებუდოს მიეჟ განსაზღვრუდი სხვა სუბიექტი“.⁴⁸ დადგენილებაში არ არის განსაზღვრული, როგორ ადგენს უფლებამოსილი ორგანო ისტორიულ ვითარებას და სხვა ობიექტურ გარემოებებს, ასევე ბოღშევიკურ რეჟიმთან დაკავშირებული სახელწოდებების რაობას.

შესაბამისად, საქართველოს კანონმდებლობით საქართველოს მუნიციპალიტეტებში არსებობს ტოპონიმიკის ცვლილების ორი გზა, როდესაც საკრებულო წარდგენილი ინიციატივის საფუძველზე ცვლის სახელწოდებას და როდესაც მუნიციპალიტეტის უფლებამოსილ პირს მიმართავს „თავისუფლების ქარტიის“ საფუძველზე შექმნილი კომისია.

დადგენილების მიხედვით, მუნიციპალიტეტების აღმასრულებელ ორგანოებს ასევე ევალებათ კონკრეტული ღონისძიებების გატარება საკრებულოს მიერ გეოგრაფიული ობიექტის სახელდების თაობაზე გადაწყვეტილების მიღების შემთხვევიდან ოთხი თვის ვადაში: აბრების, ფირნიშების, რუკების (არსებობის შემთხვევაში), ცნობარების დამზადება, კორექტირება, გავრცელება და სხვ.⁴⁹

⁴⁶ <https://idfi.ge/ge/the-assessment-of-the-work-of-the-freedom-charter-commission-in-2017-2019> (ბოლოს ნანახია: 2 ივნისი, 2021).

⁴⁷ საქართველოს მთავრობის დადგენილება - „მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებში მდებარე გეოგრაფიული ობიექტების სახელდების წესის დამტკიცების შესახებ“, მუხლი 4, კონსოლიდირებული პუბლიკაციები 01/06/2015.

⁴⁸ იგივე, მუხლი 7, პუნქტი 3.

⁴⁹ იგივე, მუხლი 7, პუნქტი 13.

ქ. თბილისის საკრებულოს 2011 წლის 27 მაისის გადაწყვეტილების მიზანია დედაქალაქის ადმინისტრაციულ საზღვრებში მდებარე გეოგრაფიული ობიექტების სახელდების მოწესრიგება. გადაწყვეტილების მე-4 მუხლის დაუშვებლად მიიჩნევა ისეთ სახელდებას, რომელიც ეწინააღმდეგება ეროვნულ ღირსებას, რელიგიას და ტრადიციებს, საყოველთაოდ აღიარებულ ზნეობრივ ნორმებს, ხელს უწყობს რასობრივ, ეროვნულ, კუთხურ, რელიგიურ ან სოციალურ შუღლს, სახელს დაუთქვამს საოკუპაციო რეჟიმს ან მის მოღვაწეებს. ნორმატიული აქტის მე-6 მუხლის - გეოგრაფიული ობიექტებისთვის სახელის აღდგენა ან შეცვლა (გადარქმევა) - პირველივე „ა“ ქვეპუნქტი ითვალისწინებს შემორჩენილი საბჭოთა, ბოლშევიკურ რეჟიმთან დაკავშირებული სახელწოდებების ცვლილებას. აღნიშნავს იმსახურებს ნორმატიული აქტის მე-7 მუხლი, რომლის მიხედვით, გამოჩენილ პირთან დაკავშირებული სახელდება დასაშვებია ამ პირის გარდაცვალებიდან არანაკლებ 20 წლის გასვლის შემდეგ. 2011 წელს მიღებულ გადაწყვეტილებაში, ამ წესიდან გამონაკლისი დაიშვებოდა საქართველოს პრეზიდენტის ან/და ქალაქ თბილისის მერის ინიციატივის შემთხვევაში, თუმცა 2013 წლის 26 აგვისტოს შეტანილი ცვლილებით, ინიციატორების სიას დაემატნენ: ქ. თბილისის საკრებულოს თავმჯდომარე და ქ. თბილისის საკრებულოს წევრთა ერთი მესამედი.

საინტერესოა, რომ ქ. თბილისის საკრებულოს 2011 წლის 27 მაისის გადაწყვეტილებით, კომისიამ და წამყვანმა კომისიამ (კომისიებმა) ინიციატივის განხილვისას უნდა გამოიყენოს ოფიციალური კარტოგრაფიული და საცნობარო გამოცემები, გეოგრაფიული ობიექტების სახელწოდებათა ლექსიკონები, ენციკლოპედიური ლიტერატურა, წერილობითი საისტორიო და სხვა წყაროები. თუმცა, ენციკლოპედიური ლიტერატურა, ასევე წერილობითი საისტორიო წყაროები ხშირად არაერთგვაროვანია და ერთსა და იმავე მოვლენაზე ან პიროვნებაზე შესაძლოა განსხვავებული ისტორია ან/და ისტორიის ინტერპრეტაცია შემოგვთავაზოს.⁵⁰

საბჭოთა ტოპონიმიკა საქართველოში - ზოგადი ტენდენციები

საბჭოთა ტოპონიმიკაში არსებობს განსხვავებები და თითოეულ დასახელებას ინდივიდუალური მიდგომა ესაჭიროება. მაგალითად, საბჭოთა პარტიულ ფუნქციონერებს - მესტიის რაიონის კომკავშირის პირველ მდივანს, ბორის კახიანს⁵¹, ან საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის წევრს, საქართველოს კომპარტიის ქუთაისის რაიკომის პირველ მდივანს, მამუკა ასლანიკაშვილს⁵², მრავალი კარგი საქმე მიეწერებათ, შესაბამისად, მათი და სხვა მსგავსი მოღვაწეების სახელების

⁵⁰ ქ. თბილისის საკრებულოს გადაწყვეტილება - „ქალაქ თბილისის ადმინისტრაციულ საზღვრებში მდებარე გეოგრაფიული ობიექტების სახელდების წესის დამტკიცების შესახებ“, კონსოლიდირებული პუბლიკაციები, 27/09/2013.

⁵¹ <http://svanetinetnews.ge/ka/news/312/> (ბოლოს ნანახია: 2 ივნისი, 2021)./.

⁵² დოკუმენტური ფილმი მამუკა ასლანიკაშვილზე. იხ.: <https://www.youtube.com/watch?v=eW-bjKXP66I> (ბოლოს ნანახია: 2 ივნისი, 2021).

დატოვების ან გადარქმევის გადანყვებილების მიღებისას, კანონის აღმსრულებელმა ორგანომ უნდა აირჩიოს პრინციპი: როგორც ლიეტუვაში - უნდა შეიცვალოს თუ არა უკლებლივ ყველა საბჭოთა პარტიული ფუნქციონერის სახელობის ქუჩა თუ როგორც უკრაინაში - სახელწოდება უნდა შეიცვალოს მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ ეს პიროვნება ან ორგანიზაცია მონაწილეობდა რეპრესიებში და ჩადიოდა დანაშაულს საკუთარი ხალხის ან/და კაცობრიობის წინააღმდეგ. ვინაიდან საქართველოს კანონი - „თავისუფლების ქარტია“ - აღნიშნულთან დაკავშირებით ზუსტ განსაზღვრებას არ გვაძლევს, შესაძლებელია: ა) მას დაემატოს შესაბამისი ჩანაწერი (მსგავსად უკრაინის კანონმდებლობისა) ან, ბ) შესაბამისი პრინციპები დარეგულირდეს ცალკე ნორმატიული აქტით. ასევე შესაძლებელია დაკომპლექტდეს კომისია, რომელიც თითოეულ სახელწოდებას განიხილავს ინდივიდუალური წესით, თუმცა ამ შემთხვევაშიც, კანონმდებლობის დონეზე ზოგადი სახელმძღვანელო პრინციპების ჩამოყალიბება იქნება საჭირო.

ვინაიდან ზემოაღნიშნული საკითხზე ერთმნიშვნელოვანი პასუხი არ არსებობს და ის კვლავ დასარეგულირებელია - კვლევაში სახელწოდებები პირობითად დაყოფილია 5 სხვადასხვა კატეგორიად, ფერების მიხედვით:

1. იმ პიროვნებების, მოვლენების, ორგანიზაციების და ა. შ. სახელობის ქუჩები, რომლებსაც დადასტურებულად⁵³ მიუძღვით განსაკუთრებული დანაშაული საქართველოს/ კაცობრიობის წინააღმდეგ - შავი კატეგორია;
2. იმ პიროვნებების, მოვლენების, ორგანიზაციების და ა. შ. სახელობის ქუჩები, რომელთა სახელიც წარმოადგენს საბჭოთა კავშირის სიმბოლოს - ადამიანები, რომლებიც მიუხედავად იმისა, რომ მსახურობდნენ საბჭოთა რუსეთის სამხედრო-პოლიტიკურ ან ძალოვან ორგანოებში, ემსახურებოდნენ იდეოლოგიას, თუმცა საქართველოს/კაცობრიობის წინაშე დადასტურებული ბრალი არ მიუძღვით. ასევე სახელწოდებები, რომლებიც პირდაპირ ასოცირდება საბჭოთა კომუნისტურ იდეოლოგიასთან, რადგან სისტემამ მოახდინა მათი სახელის ინსტრუმენტალიზაცია - წითელი კატეგორია;
3. სახელწოდება, რომელიც წარმოადგენს რუსიციზმს ან უკავშირდება ამა თუ იმ რუსულ ტოპონიმს - ყვითელი კატეგორია;
4. საბჭოელი საზოგადო, პოლიტიკური და სამხედრო მოღვაწეები, რომლებსაც არ

⁵³ წითელსა და შავ კატეგორიებს შორის ზღვარის გავლება კვლევის ფარგლებში რთული აღმოჩნდა, ვინაიდან, შესაძლოა, წითელ კატეგორიაში მყოფი ადამიანების დანაშაულების შესახებ ცნობილი ჯერ არაფერია და ისინი მხოლოდ იდეოლოგიას არ ემსახურებოდნენ, მით უმეტეს, საარქივო დოკუმენტების უმრავლესობა, სადაც საბჭოთა ეპოქის საიდუმლო დოკუმენტები ინახება, ჯერ კიდევ არ არის ხელმისაწვდომი საზოგადოებისთვის. შავ კატეგორიაში შეყვანილია ის პიროვნებები, რომელთა ბრალეულობა დოკუმენტურად, მაგალითად პოლიტიკური რეპრესიის აქტზე ხელმოწერით დასტურდება.

მიუძღვით დანაშაული საქართველოს/კაცობრიობის წინაშე - მწვანე კატეგორია;

5. სხვა მხრივ პრობლემური სახელწოდებები - ლურჯი კატეგორია.

დანაშაული საქართველოს/კაცობრიობის წინაშე	
საბჭოთა კავშირის/კომუნიზმის სიმბოლო	
რუსიციზმი/რუსული ტოპონიმი	
უდანაშაულო საქართველოს/კაცობრიობის წინაშე	
სხვა	

„შავ“ კატეგორიას კვლევაში მიეკუთვნა სულ 13 დასახელება - 12 მოღვაწის და 1 ორგანიზაციის. მათი სახელი საქართველოში ეწოდება ჯამში 41 ქუჩას 7 სოფელსა და 1 დაბას:

1. კონსტანტინე ლესელიძე (1903-1944) - საქართველოს „გასაბჭოების“ შემდეგ, 1921 წლებში აქტიურად იბრძოდა საქართველოს განმათავისუფლებელი მოძრაობის და მისი წევრების წინააღმდეგ, მონაწილეობდა მათ რეპრესიებში;
2. იოსებ სტალინი (1878-1953) – გორში ცენტრალური გამზირისა და ახალ სამგორში, ვალეში, ბოლნისში, ლანჩხუთსა და სენაკში შემორჩენილი ქუჩების გარდა, სტალინისუბანი ეწოდება სოფელს ქობულეთის მუნიციპალიტეტში;
3. ანასტას მიქოიანი (1895-1978) - გავლენიანი კომუნისტი 1915 წლიდან - სიკვდილამდე, 1978 წლამდე. 1920-იანი და 30-იანი წლების რეპრესიების აქტიური მოთავე. ხელს აწერდა ე.წ. „სტალინურ სიებს“. არსებობს არაერთი წერილი, რომლითაც ის სტალინს მიმართავ სომხეთში რეპრესირებულთა რიცხვის გაზრდის მოთხოვნით;
4. ფელიქს ძერჟინსკი (1877-1926) - საბჭოეთის პირველი რეპრესიული აპარატის, „ჩეკას“ (ЧК – чрезвычайная комиссия) შემქმნელი და მისი პირველი თავმჯდომარე;
5. მამია ორახელაშვილი (1881-1937) - საბჭოთა რუსეთის მიერ საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის ოკუპაციის ერთ-ერთი შემოქმედ; საქართველოს სსრ კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივანი. თავადაც რეპრესირებული (დახვრეტილი) 1937 წელს, „დიდი წმენდის“ დროს;
6. სერგეი კიროვი (1886-1934) - რუსეთის კომუნისტური პარტიის ცეკა-ს კავკასიის ბიუროს წევრი, აზერბაიჯანის დემოკრატიული რესპუბლიკის ოკუპაციის (1920) ერთ-ერთი მოთავე; სახელი კიროვი ეწოდება სოფელს ზუგდიდის მუნიციპალიტეტში, კიროვკა - მარნეულში, ხოლო კიროვაკანი - ახალქალაქში;
7. ლავრენტი ბერია (1899-1953) - საქართველოში 1920-იანი და 30-იანი წლების, განსაკუთრებით კი 1937-1938 წლების, „სტალინური რეპრესიების“ მთავარი განმახორციელებელი;

8. ფილიპე მახარაძე (1868-1941) - ქართველი ბოლშევიკი, რევოლუციონერი და საბჭოთა პარტიული მოღვაწე. 1921 წლის რუსეთ-საქართველოს ომის დროს საბჭოთა რუსეთის მიერ საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის ოკუპაციის ერთ-ერთი შემოქმედი, საქართველოს რევოლუციური კომიტეტის თავმჯდომარე. ფილიპოვკა ეწოდება სოფელს ახალქალაქის მუნიციპალიტეტში;
9. სტეფანე შაუმიანი (1878-1918) - კავკასიის საქმეთა საგანგებო კომისარი, 1918 წლის ე. წ. „ბაქოს კომუნის“ საგარეო საქმეთა კომისარი; შაუმიანი ეწოდება დაბას მარნეულის მუნიციპალიტეტში;
10. ვალია ბახტაძე (1896-1930) - საქართველოს გასაბჭოების შემდგომი რეპრესიების აქტიური მოთავე. 1923 წელს, ანტირელიგიური კამპანიის პირობებში მისი ინიციატივით შეურაცხვეს მოწამეთის მონასტრის წმიდანების, დავითისა და კონსტანტინეს, ნაწილები;
11. მიხეილ კალინინი (1875-1946) - ბოლშევიკი რევოლუციონერი. კომპარტიის პოლიტბიუროს წევრი. 1919 წლიდან სიკვდილამდე, 1946 წლამდე, იკავებდა სხვადასხვა მნიშვნელოვან თანამდებობას. 1934 წლის 1 დეკემბერს კალინინის ხელმოწერით გამოქვეყნდა დადგენილება, რომელიც „სტალინური ტერორის“ იურიდიულ საფუძვლად იქცა; კალინინო ეწოდება სოფელს გარდაბნის მუნიციპალიტეტში;
12. ანდრეი ჟდანოვი (1896-1948) - პოლიტბიუროს წევრი, რსფსრ უზენაესი საბჭოს თავმჯდომარე, კომპარტიის ცეკას აგიტაციისა და პროპაგანდის სამმართველოს ხელმძღვანელი; ჟდანოვკანი/ ჟდანოვი ეწოდება სოფელს ნინოწმინდის მუნიციპალიტეტში;
13. წითელარმიელები - წითელი არმიის სახელს უკავშირდება 1921 წლის საქართველოს გასაბჭოება.

„წითელ“ კატეგორიას კვლევის ფარგლებში მიეკუთვნა 30-ზე მეტი დასახელება, რომელთა სახელებიც ეწოდებათ ჯამში 100-მდე ქუჩასა თუ დასახლებულ პუნქტს. მათ შორის გამოსარჩევია:

1. იური გაგარინი (1934-1968) - პირველი ადამიანი კოსმოსში. იური გაგარინის სახელს თანამედროვე კრემლისტური პროპაგანდა აქტიურად იყენებს ე. წ. „კოსმოსურ რბოლაში“. 2021 წელს იური გაგარინის კოსმოსში გაშვების იუბილესთან დაკავშირებით რუსეთში მასშტაბური ღონისძიებები დაგეგმილი;⁵⁴

⁵⁴ ჟურნალისტ ალექსეი პივოვაროვის დოკუმენტურ ფილმში განხილულია იური გაგარინის მნიშვნელობა საბჭოთა კავშირისა და თანამედროვე რუსეთისთვის. იხ.: <https://www.youtube.com/watch?v=s73k6j-q740> (1:33:00-დან). (ბოლოს ნანახია: 2 ივნისი, 2021).

2. ზოია კოსმოდემიანსკაია (1923-1941) - საბჭოთა პარტიზანი, რომელიც მტრის ზურგში საბჭოთა მოქალაქეთა სახლებს წვავდა, რის გამოც 18 წლის ასაკში სიკვდილით დასაჯეს. 2021 წელს, რუსმა ჟურნალისტმა, ალექსანდრ ნევზოროვმა მას უწოდა „ფანატიკოსი, რომელიც დანაშაულებრივ ბრძანებას ასრულებდა“, რის გამოც ნევზოროვის წინააღმდეგ რუსეთის პროკურატურამ საქმე „ნაციზმის რეაბილიტაციის“ კუთხით აღძრა;⁵⁵
3. ვლადიმირ მაიაკოვსკი (1893-1930) – რუსი საბჭოთა პოეტი, რუსული ფუტურიზმის ერთ-ერთი ფუძემდებელი, საბჭოეთისთვის და კომპარტიისთვის მიძღვნილი აქვს არაერთი ლექსი. სახელწოდება - „ვლადიმერ მაიაკოვსკი“ შეიძლება ნაკლებ პრობლემურად ჩაითვალოს, ვინაიდან ისტორიულ მეხსიერებაში ის არ არის უარყოფით პიროვნებად შემორჩენილი. გარდა ამისა, საბჭოეთს და კომპარტიას იმ პერიოდში ლექსებს და ნაწარმოებებს უძღვნიდა თითქმის ყველა ქართველი პოეტი თუ მწერალი;
4. მაქსიმ გორკი (1868-1936) - რუსი მწერალი, რომელიც 1920-იანი წლებიდან საბჭოთა კონიუნქტურის გათვალისწინებით წერდა. 1929 წლის ნაკვესში „სოლოვეკები“, რომელიც მიეძღვნა სოლოვეკის კუნძულზე გადასახლებული პატიმრების საცხოვრებელ პირობებს, დადებითად დაწერა ციხის რეჟიმზე, რაც სინამდვილეს არ შეესაბამებოდა;⁵⁶
5. სამამულო ომის გმირი ქართველები: კაპიტანი მიხეილ ბუხაიძე (1905-1942), ჭიჭიკო ბენდელიანი (1913-1944) და პორფირე ჩანჩიბაძე (1901-1950). აღნიშნული პიროვნებების გარდა, სამამულო ომის სხვა გმირების სახელები ეწოდება რამდენიმე ათეულ ქუჩას საქართველოში. აღნიშნული სამი პიროვნება საბჭოთა ეპოქაში იქცნენ სიმბოლოებად, მათ შესახებ შეიქმნა არაერთი ნაწარმოები;
6. ეკატერინე (1858-1937) და იაკობ ჯულაშვილები (1907-1943) - სტალინის დედა და შვილი;
7. ვასილ კიკვიძე (1895-1919) - რუსეთში მოღვაწე ესერთა პარტიის წევრი, საბჭოთა რევოლუციის გმირი, მეთაურობდა წითელი არმიის სხვადასხვა დანაყოფებს, მიიღო მონაწილეობა რუსეთის სამოქალაქო ომში და სასიკვდილოდ დაიჭრა. ვასილ კიკვიძე საბჭოთა პროპაგანდამ რუსეთის სამოქალაქო ომის სიმბოლოდ აქცია, მის სახელებს უწოდებდნენ ქუჩებს, სამხედრო ბატალიონებს, 1936-1998 წლებში სახელი ეწოდებოდა დასახლებულ პუნქტს - პრეობრაჟენსკაიას.⁵⁷ თბილისში, ვარაზისხევის დასაწყისში, იქ, სადაც გმირთა მემორიალია, იდგა მისი ძეგლი, რომელიც შემდეგ ნაძალადევის რაიონში გადაიტანეს და მოსახელე

⁵⁵ https://lenta.ru/news/2021/02/05/nevzorov_otvetil/ (ბოლოს ნანახია: 2 ივნისი, 2021).

⁵⁶ Д. Л. Быков, Был ли Горький?, Астрель, Москва, 2012, с. 287–288.

⁵⁷ Е. М. Поспелов, “Имена городов: вчера и сегодня (1917–1992). Топонимический словарь”, Москва, “Русские словари”, 1993, с. 119.

პარკში დადგეს. ქუთაისში დღემდეა მისი ძეგლი, რომლის გადატანის შესახებაც ასევე წლებია მიმდინარეობს დისკუსია;⁵⁸

8. ოქტომბერი - სახელწოდება დაკავშირებულია 1917 წლის ოქტომბრის დიდ რევოლუციასთან და საბჭოთა ხელისუფლების დამყარებასთან, რომელიც თანამედროვე დასავლურ ისტორიოგრაფიაში „ოქტომბრის გადატრიალების“ სახელით გვხვდება. სოფლები სახელწოდებით ოქტომბერი გვხვდება ზუგდიდის, თერჯოლისა და ქედის მუნიციპალიტეტებში;
9. ერნსტ ტელმანი (1886-1944) - გერმანელი პოლიტიკოსი და სახელმწიფო მოღვაწე, გერმანიის კომუნისტური პარტიის ლიდერი. 1933 წელს ნაცისტებმა დააპატიმრეს, ხოლო 1944 წელს სიკვდილით დასაჯეს. ტელმანი ეწოდება სოფელს ლანჩხუთის მუნიციპალიტეტში;
10. წითელსოფელი, წითელწყარო, წითელუბანი, კრასნოე და ა.შ. - სახელწოდებები სავარაუდოდ დაკავშირებულია ზოგადად, მსოფლიო კომუნიზმის მიერ თავის სიმბოლოდ გამოცხადებულ ფერთან.

ასევე „წითელ კატეგორიას“ შეიძლება მიეკუთვნოს ისეთი ცნებები, როგორებიცაა: ხალხთა მეგობრობა, საბჭო, კოსმონავტი, ენერგეტიკა და ქუჩებისთვის ღიმილისმომგვრელი სახელწოდებებიც: ტრიკოტაჟი, ტყეკულტურა, მეფრინველეობა ა. შ. აღნიშნულ კონცეპტთა საბჭოთა იდეოლოგიისთვის უდავოდ სიმბოლურ მნიშვნელობასთან ერთად, აქვე უნდა აღინიშნოს ამ ცნებათა ისტორიული ღირებულებაც: 70 წლიანი თუმცა კი ავტორიტარული რეჟიმის გამოცდილებაში, აღნიშნული ცნებები იმდროინდელი ხალხის ყოველდღიურ ცხოვრებასაც ასახავდა. შესაბამისად პოსტ-კომუნისტურ პერიოდში, მათი ისტორიული მნიშვნელობის დანახვა ამ პერსპექტივიდან, მნიშვნელოვანია.

სახელწოდებები, რომლებიც წარმოადგენს რუსიციზმს/ რუსული ტოპონიმს:

1. მეორე სამამულო ომის ქუჩა;
2. მოსკოვის ქუჩა;
3. სანქტ-პეტერბურგის ქუჩა;
4. ვოლგოგრადის ქუჩა;
5. როსტოვის ქუჩა;
6. ნოვოროსიისკის ქუჩა;

⁵⁸ „რადიო თავისუფლების“ სტატია - „ვასილ კიკვიძის ძეგლი - საჯილდაო მონუმენტი ქუთაისში“. იხ.: <https://bit.ly/3uCSHRa> (ბოლოს ნანახია: 2 ივნისი, 2021).

7. კალინინგრადის ქუჩა.

სხვა მხრივ პრობლემურ, ე. წ. „ლურჯ კატეგორიაში“ კვლევის ფარგლებში გაერთიანებულია:

1. ემელიან იაროსლავსკი (1878-1943) - საბჭოთა კავშირის მეცნიერებათა აკადემიის წევრი, ათეისტური ინტერნაციონალური მოძრაობის პრეზიდენტი და „მებრძოლ უღმერთოთა კავშირის“ თავმჯდომარე;
2. ნარიმან ნარიმანოვი (1870-1925) - ნარიმან ნარიმანოვი 1920 წელს, ბოლშევიკური ოკუპაციის დროს, აზერბაიჯანის რევოლუციური კომიტეტის თავმჯდომარე იყო. იგი 1925 წელს მოსკოვში, გაურკვეველ ვითარებაში დაიღუპა. ნარიმან ნარიმანოვის ძეგლის აღმართვას 2020 წელს მარნეულში მოყვა ვნებათაღელვა, რომელშიც ჩაერთო ერთი მხრივ ადგილობრივი მოსახლეობა და საქართველოს მართლმადიდებლური ეკლესიის მარნეულისა და ჰუჯაბის ეპარქია;
3. ჰაზი ასლანოვი (1910-1945) - აზერბაიჯანელი მხედართმთავარი, სატანკო ჯარების გენერალ-მაიორი, საბჭოთა კავშირის ორგზის გმირი;
4. ლენინაკანი და კიროვაკანი - ლენინაკანი სომხეთის ქალაქ გიუმრის (1924-1991), ხოლო კიროვაკანი - ვანაძორის (1935-1993) სახელწოდება იყო.

რაოდენობრივი ანალიზი

ხუთი დასახლებულ პუნქტის: ახალქალაქის, დედოფლისწყაროს, თეთრიწყაროს, თიანეთის და ნინოწმინდის ზუსტი ტოპონიმიკის დადგენა კვლევის ფარგლებში ვერ მოხერხდა. www.napr.gov.ge-ზე აღნიშნულ დასახლებულ პუნქტებს, მუნიციპალურ ცენტრებს, არ გააჩნდათ მისამართების ფენა, ხოლო Google.Maps-ის მონაცემების გადამოწმებით, რომელიც სრულად არ ასახავს ხოლმე ცვლილებებს, ირკვევა, რომ საბჭოური სახელწოდებების ქუჩები ამ მუნიციპალიტეტებში შემორჩენილია, მათ შორის ზოგიერთი ე. წ. „შავი“ კატეგორიის.


სხვა 75 დასახლებული პუნქტიდან: ქალაქებიდან, მუნიციპალური ცენტრებიდან და სოფლებიდან⁵⁹, ქუჩებს, მოედნებსა და სოფლებს საბჭოთა/ რუსიციტული და სხვა მხრივ პრობლემური სახელწოდებები აღარ ეწოდება 34 დასახლებულ პუნქტში. ეს დასახლებული პუნქტებია: აბაშა, ადიგენი, ახალციხე, ახმეტა, არხილოსკალო,

⁵⁹ საუბარია იმ მუნიციპალიტეტებზე, რომლებიც საქართველოს კონტროლირებად ტერიტორიაზე მდებარეობს. მუნიციპალიტეტების ჩამონათვალი იხ.: <http://www.lsgindex.org/> (ბოლოს ნანახია: 2 ივნისი, 2021).

ბაკურიანი, ბალიჭი, გამოღმა არგვეთი, დმანისი, დუშეთი, ვანი, ისრითი, სიმონეთი, ლაგოდეხი, ლენტეხი, მარტვილი, ონი, ორღული, პერევი, სიღნაღი, ქედა, ყაზბეგი, ყვარელი, შუახევი, ჩხორონყუ, წალკა, წყალტუბო, ჭიათურა, ხარაგაული, ხელვაჩაური, ხობი, ხულო, ჯვარი, ჯიმითი.


46 დასახლებული პუნქტიდან, პრობლემური, ე. წ. „შავი კატეგორიის“ სახელწოდებები კვლავ შემორჩენილია 35 დასახლებულ პუნქტში.

ცხრილი N21: დასახლებული პუნქტების რაოდენობა, სადაც შემორჩენილია ან აღარ არსებობს ქუჩები და დასახლებული პუნქტები პრობლემური სახელწოდებით




- არ არის ასეთი ქუჩები
- შემორჩენილი ქუჩები პრობლემური სახელწოდებით

ცხრილი №2: ქუჩების და დასახლებული პუნქტების “შავ კატეგორიას” მიკუთვნებული, პრობლემური სახელწოდებები მათი რაოდენობის მიხედვით



ცხრილი №3: ტოპ 10 დასახლებული პუნქტი საბჭოთა/ რუსიციკისტული და სხვა მხრივ პრობლემური სახელწოდებების ქუჩების და დასახლებული პუნქტების მიხედვით



თბილისი და მისი გარეუბნის სოფლები და დასახლებული პუნქტები

საქართველოს დედაქალაქში და მისი გარეუბნის სოფლებში მსგავსი ქუჩების რაოდენობა ყველაზე მეტია - 18. დიდი თუ პატარა ქუჩების სახელწოდებებში კვლევაში აღნიშნული ხუთივე კატეგორია ფიგურირებს.

თბილისში არსებობს „მეორე სამამულო ომის“ ქუჩა. „სამამულო ომი“ თავდაპირველად ეწოდა 1812 წელს რუსეთის ბრძოლას ნაპოლეონის არმიის წინააღმდეგ, რომელიც რუსეთის ტერიტორიაზე შეიჭრა. ტერმინი „სამამულო“ იმთავითვე გულისხმობდა ომს, რომლის მიზანიცაა საკუთარი ტერიტორიის დაცვა და არა - სხვა ტერიტორიების დაპყრობა. 1914 წლის შემდეგ, იგივე ტერმინი ეწოდა პირველ მსოფლიო ომს, მეორე მსოფლიო ომთან დაკავშირებით კი მან პირველად 1941 წელს „პრავდას“ ფურცლებზე გაიჟღერა მას შემდეგ, რაც ნაცისტური გერმანია თავს დაესხა საბჭოთა კავშირს. მას შემდეგ, აღნიშნული ტერმინი გამოიყენებოდა საბჭოთა მოქალაქეებში პატრიოტული სულისკვეთების გასაღვივებლად და საზოგადოების მობილიზაციისთვის. აღნიშნულ ტერმინს დღემდე აქტიურად იყენებს რუსული პროპაგანდა. აღსანიშნავია, რომ საბჭოთა კავშირის დაშლის შემდეგ, რუსეთის მოსახლეობაში სერიოზულმა იდენტობის კრიზისმა დაისადგურა, დიდი ხნის განმავლობაში ვერ ხერხდებოდა ახალ გეოგრაფიულ საზღვრებში, პოლიტიკურ რეალობასა და საერთაშორისო დღის წესრიგში ახალი ეროვნული იდენტობისა და ნაციონალური ნარატივის შექმნა მანამ, სანამ პუტინის მთავრობამ წინ არ წამოსწია პატრიოტული ნარატივი „დიდი სამამულო ომის“ შესახებ. ეს ნარატივი პოლიტიკურად მომგებიანი აღმოჩნდა, რადგან ერთი მხრივ ისტორიები და მითები რუსი ხალხის გმირობასა და ტანჯვაზე აღვივებს ერთიანობის განცდას რუს ერში, მეორე მხრივ კი რუსეთის, როგორც „ევროპის გადამარჩენის“, წარმოჩენა, ამავე გამარჯვებაში დასავლეთის უდიდესი წვლილის იგნორირებით, ხელს უწყობს რუსეთის მოსახლეობაში პატრიოტული და იმპერიალისტური გრძნობების გაღვივებას. აღნიშნული ტერმინის პოსტ საბჭოთა სივრცეში დამკვიდრების ან/და შენარჩუნების ხელშეწყობა კი რუსეთის ხელისუფლების ერთგვარი მცდელობაა, რომ შეინარჩუნოს ექსკლუზიური გავლენა ყოფილ საბჭოთა რესპუბლიკებზე.⁶⁰

ძველ თბილისში, ასევე, არსებობდა კონსტანტინე ლესელიძის სახელობის ქუჩა, რომელსაც, მართალია, სახელი გადაერქვა, მაგრამ ადგილზე დღემდე შემორჩენილია მისი ბიუსტი. კონსტანტინე ლესელიძე, საქართველოს გასაბჭოების შემდეგ, აქტიურად იბრძოდა საქართველოს განმათავისუფლებელი მოძრაობის და მისი წევრების წინააღმდეგ და მოწაწილებოდა მათ რეპრესიებშიც. მეორე მსოფლიო ომის დროს მან თავი გამოიჩინა კავკასიის ქედზე ქლუხორის და მარუხის უღელტეხილებთან გამართულ ბრძოლებში, რის გამოც მიენიჭა საბჭოთა გმირის წოდება.

⁶⁰https://idfi.ge/ge/russian_propaganda_and_immortal_regiment (ბოლოს ნანახია: 2 ივნისი, 2021).

აღსანიშნავია, რომ ძველ თბილისში სახელის გადარქმევის შემდეგ, სასამართლოს გადაწყვეტილებით ლესელიძის სახელი მიენიჭა ყოფილ ტიულენევის ქუჩას, რომელიც გლდანში მდებარეობს.

აღსანიშნავია, რომ თბილისის საკრებულოს მიერ მოწოდებული ინფორმაციით, მიმდინარეობს მსჯელობა ვალერი ჩკალოვის, ემელიან იაროსლავსკის და მექანიზაციის ქუჩებისთვის სახელების გადარქმევის თაობაზე.

ზუგდიდის მუნიციპალიტეტი

ქალაქ ზუგდიდშია ლავრენტი ბერიას სახელობის ერთადერთი ქუჩა საქართველოში. ლავრენტი ბერია (1899-1953), სსრკ-ს სახელმწიფო და პოლიტიკური მოღვაწე, საბჭოთა კავშირის მარშალი (1945 წლიდან), სოციალისტური შრომის გმირი (1943 წლიდან). სტალინის გარდაცვალების შემდეგ ხელისუფლების უმაღლეს წრეებში ძალაუფლებისათვის გამართულ ბრძოლაში უმცირესობაში აღმოჩნდა. იგი 1953 წელს დააპატიმრეს ჯაშუშობის და შეთქმულების ბრალდებით და მიუსაჯეს სასჯელის უმაღლესი ზომა - დახვრიტა.

ლავრენტი პავლეს ძე ბერიას საქართველოს სსრ კომპარტიის ცეკას პირველი მდივნად მუშაობის დროს დაინერა ყველაზე შავი ფურცლები საქართველოს უახლეს ისტორიაში. 1937-1938 წლების რეპრესიებს, რომლის ერთ-ერთი მთავარი არქიტექტორი ბერია იყო, ემსხვერპლა ათასობით საქართველოს სსრ მოქალაქე.

საინტერესოა, რომ 1930-იანი წლებიდან ბერიას სახელობის ობიექტის რაოდენობა საქართველოში სულ უფრო და უფრო მზარდი იყო. 1940-იანი წლებიდან 1953 წლამდე მისი სახელი ერქვა თბილისის მთავარ, ამჟამად თავისუფლების მოედანს. ბერიას დაპატიმრების და რეპრესირების შემდეგ ქუჩების, მოედნების და სხვა ობიექტების დასახელებაში მისი სახელი სწრაფად გაქრა. შესაბამისად, ბერიას სახელი ქუჩას გადარქვეს ზუგდიდშიც. მისი სახელი ყოფილ იური გაგარინის სახელობის ქუჩას ხელახლა მიენიჭა 1995 წლის 2 მარტს.⁶¹

2016 წელს არასამთავრობო ორგანიზაციებმა ზუგდიდის ქუჩისთვის 2016 წელს აფხაზეთის საოკუპაციო ხაზთან მოკლული გიგა ოთხოზორიას სახელის მინიჭება მოითხოვეს.⁶² საინფორმაციო საშუალებამ „ლაივპრესი“ ამის შემდეგ ჩაატარა გამოკითხვა ადგილობრივ მაცხოვრებლებში და დაწერა სტატია სათაურით - „ზუგდიდში ბერიას ქუჩისთვის სახელის გადარქმევას მხარს არ უჭერენ“.⁶³ რამდენიმე გამოკითხული

⁶¹ ქ. ზუგდიდისა და ზუგდიდის რაიონის გამგეობის სხდომის გადაწყვეტილება N-25, 1995 წლის 2 მარტი.

⁶² <https://reginfo.ge/people/item/6033-zugdidshi-lavrenti-berias-quchistvis-giga-otxozor-riass-saxelis-minichebas-itxoven> (ბოლოს ნანახია: 2 ივნისი, 2021).

⁶³ <https://reginfo.ge/people/item/6281-zugdidshi-lavrenti-berias-quchistvis-saxelis-gadardqmevas-mxars-ar-ucheren> (ბოლოს ნანახია: 2 ივნისი, 2021).

მკვთორად უჭერდა მხარს ქუჩისთვის კომუნისტი ლიდერის სახელის შენარჩუნებას: „თუ გადაიქმევა უნდათ, დაგვიბეზონ გაგაჩინის ქუჩა. ის ხუხი ახ იყო, მსოფლიოში პიკვედი კოსმონავი იყო, ან დატოვონ ბეჩიას ქუჩა. ჩვენ ახაფეხს გვეკითხებიან, ესე ხოგოი შეიძლება“, „აჲ გაბელოთ აქ ამაზე მოუხედ მოსვდა. ჩვენ გვინდა ჩვენი ეჩის საამაყო ბეჩიას ქუჩა“, „გიგა ოთხოზოჩია ჩემი მეგობაჲი იყო. ეს [ქუჩისთვის სახელის გადაიქმევა] აჩის პხოვოკატოხების მიეჲ მოფიქიებული, ხომ მეგხედს მეგხედი დაუპიხისპიხონ. ამისთვის ამ უბიწო ბიჭის სახედს იყენებენ. მოუხედ მსოფლიო ომის აღმოჩენა იყო დავხენგი ბეჩია. ვისაც ვიცნობ, იციან, ხომ ეს მახთადს საამაყო პიხოვნება იყო“. სტატიის მიხედვით უცნობია, გამოიკითხნენ თუ არა ის მაცხოვრებლები, რომლებიც ქუჩისთვის ბერიას სახელის გადარქმევას უჭერდნენ მხარს, თუმცა მოწინააღმდეგეების აზრებიც საინტერესო და ნიშანდობლივია.

[illegible]

ქ. ზუგდიდისა და ზუგდიდის რაიონის გამგეობის სხდომის
გადაწყვეტილება N-25, 1995 წლის 2 მარტი.

ზუგდიდის კიდევე ერთ ქუჩას ეწოდება საბჭოთა მოღვაწის, გენერალ-მაიორ ივანე ვნუკოვის (1904-1988) სახელი. ივანე ვნუკოვი მეორე მსოფლიო ომში მონაწილეობდა. ასევე მისი ბიოგრაფიიდან ცნობილია, რომ 1988 წლის 4 იანვარს ის ზუგდიდში გარდაიცვალა. სასაფლაოდან კი ვიგებთ, რომ მას ქართველი მეუღლე ყავდა, ასევე იქვეა დაკრძალული მათი შვილი. ზუგდიდის ან საქართველოს წინაშე სხვა „დამსახურების“ შესახებ ინფორმაციის მოპოვება ვერ მოხერხდა.



ივანე ვნუკოვის და მისი ოჯახის წევრების საფლავები, ზუგდიდის სასაფლაო

ზუგდიდის მუნიციპალიტეტში, გარდა პრობლემური სახელწოდების ქუჩებისა, არსებობს სოფლები: კიროვი და ოქტომბერი. მუნიციპალიტეტის ოფიციალური წერილის მიხედვით, საქართველოს მთავრობის ადმინისტრაციაში მიმდინარეობს სოფელ კიროვის სახელის ცვლილებასთან დაკავშირებული ადმინისტრაციული წარმოება, თუმცა ეს არ ეხება ბერიას და ვნუკოვის ქუჩებს, და სოფელ ოქტომბერს.

ზესტაფონში, კვლევის ფარგლებში, გამოვლინდა ერთი საინტერესო ფაქტი: კონსტანტინე ლესელიძისა და „დიდი სამამულო (მეორე მსოფლიო) ომის“ რამდენიმე გმირის გარდა, ზესტაფონის ერთ-ერთი ქუჩას საბჭოთა ეპოქაში და 1990-იან წლების დასაწყისში რუსეთში მოღვაწე კრიმინალური ავტორიტეტის, ოთარ კვანტრიშვილის (1948-1994), სახელი ეწოდება. ამ თემასთან დაკავშირებით 2019 წლის მაისში საინფორმაციო პორტალმა „აქცენტი“ სტატია გამოაქვეყნა, რომლის თანახმადაც მერია იმ პერიოდში არ აპირებდა ქუჩისთვის სახელის გადარქმევის საკითხის განხილვას. როგორც „აქცენტი“ წერს, მერიის საზოგადოებასთან ურთიერთობის განყოფილების სპეციალისტმა მათ განუცხადა: „მანამდე ზუსტ პასუხს ვეი გაგცემთ. საეხთოდ ჩაგომ გახდა ეს საკითხი ეხდა განხილვის საგანი, ახ ვიცით, - ხოგოხ ჩანს, ვილაცამ თემა შეგნებუდაე ააგოხა. ზუსტი ინფორმაცია ახ გაგვაჩნია, თუმცა ხოგოხ ვიცი, შიომის ქუჩას ოთახ კვანტჩიშვილის სახელი ჯეი კიდეე 2001 წელს მიენიჭა. თავად კვანტჩიშვიდი, ხოგოხც ვიცი, ბიზნესმენი გახდიათ, ხომეიც 1994 წელს დაიღუპა“.⁶⁴

ხონის მუნიციპალიტეტი

ხონში ყურადღებას იქცევს ვალია ბახტაძის სახელობის ქუჩა. კომუნისტი მოღვაწე, ვალერიან (ვალაია) ბახტაძის (1896-1930) ცხოვრებისა და მოღვაწეობის შესახებ მწირ ცნობებს გვაძლევს ქართული საბჭოთა ენციკლოპედია: რევოლუციურ მოძრაობაში ჩაება ქუთაისის გიმნაზიაში სწავლის პერიოდში (1912-1915), იყო ხონის პარტიული ორგანიზაციის ერთ-ერთი ხელმძღვანელი, ბათუმ-გურიის ბოლშევიკური კომიტეტის მდივანი. 1918 წლის აპრილში აქტიურად მონაწილეობდა ანტისამთავრობო გლეხთა აჯანყებაში სამეგრელოში. იმავე წლის გაზაფხულზე, აფხაზეთის მშრომელთა აჯანყების პერიოდში, ხელმძღვანელობდა აჯანყებულთა სამხედრო-საზღვაო რაზმს, შედიოდა სამხედრო-რევოლუციური შტაბის შემადგენლობაში. აჯანყების დამარცხების შემდეგ წავიდა პიატიგორსკში, იქიდან ვლადიკავკაზში, სადაც ხელმძღვანელობდა დენიკინის წინააღმდეგ მებრძოლ კომუნისტურ რაზმს. 1919 წელს თებერვალში დაბრუნდა საქართველოში და განაგრძო რევოლუციური მოღვაწეობა, რისთვისაც რამდენიმეჯერ დააპატიმრეს. განთავისუფლების შემდეგ გაემგზავრა ბაქოში და დაინიშნა XI წითელი არმიის ცხენოსანი დივიზიის სამხედრო კომისრად. საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარების შემდეგ ბახტაძე მუშაობდა გაზეთ „კომუნისტის“ რედაქტორად, პარტიის ქუთაისის საგუბერნიო კომიტეტის მდივნად. საქ. კპ(ბ) ცკ-ის აგიტაციისა და პროპაგანდის განყოფილების გამგედ. გაზეთ „მუშა და გლეხის“ და ჟურნალ „მნათობის“ რედაქტორად.

ვალაია ბახტაძის მოღვაწეობას უკავშირდება ერთი საყურადღებო ფაქტი: 1923 წელს, ანტირელიგიური კამპანიის პირობებში ხელისუფლებაში მოსული ბოლშევიკები შეიჭრნენ მოწამეთას მონასტერში. გაზეთი „მუშა და გლეხი“ წერდა: „მოხდა მოწამეთის მონასტრის წმინდანების - დავით და კონსტანტინეს ნაწილების გახსნა... ეკდესიიდან


⁶⁴ <https://accentnews.ge/ka/article/1073-shercheba-tu-ara-zestaponshi-otar-kvantrishvilis-kuchas> (ბოლოს ნანახია: 2 ივნისი, 2021).

გახეთ გამოაქვთ წმიდა ნაწილები, მაღლობ ადგილებზე ჩნდება ამხანაგი ვარია ბახტაძე, მას ხედში უჭიხავს თავის ქადა...“ ნაწილებს ურმით დაატარებდნენ სხვადასხვა რაიონსა და სოფელში. დავითისა და კონსტანტინეს ნაწილები ერთი პერიოდი ქუთაისში პროფკავშირების სახლში მოათავსეს, შემდეგ ჩაუტარეს სამედიცინო გამოკვლევა. გადმოცემით, ბოლშევიკებმა განიზრახეს წმიდა ნაწილების მდინარე რიონში დემონსტრაციულად გადაყრა, თუმცა საზოგადო მოღვაწემ, ქუთაისის საისტორიო საზოგადოებისა და მუზეუმის დამაარსებელმა, ტრიფონ ჯაფარიძემ ნაწილები როგორც სამუზეუმო ექსპონატები ისე მოითხოვა და შემდეგ ტაძარში დააბრუნა.⁶⁵

ეთნიკური უმცირესობებით დასახლებული საქართველოს მუნიციპალიტეტები: ახალქალაქი, მარნეულის, ნინოწმინდა, წალკა

ცალკე განსახილველი საკითხია უმცირესობებით მჭიდროდ დასახლებული მუნიციპალიტეტები, სადაც კომუნისტური ლიდერების სახელები ხშირად ეთნიკური კუთვნილებითაცაა გამოხატული და ორმაგ დატვირთვას იძენს.

ერთ-ერთ პრობლემურ საკითხს წარმოადგენს ანასტას მიქოიანის სახელობის ქუჩები ახალქალაქსა და ნინოწმინდაში. ანასტას მიქოიანი (1895-1978) იყო პოლიტიბუროს წევრი, ყველაზე ცნობადი სომეხი საბჭოთა მოღვაწე, რომელმაც მთელი ცხოვრება სხვადასხვა თანამდებობაზე გაატარა. ანასტას მიქოიანის პერსონა სომხეთში ორაზროვნად აღიქმება - 2014 წელს ფართომასშტაბიანი დისკუსია გამოიწვია ერევანში მიქოიანის ძეგლის დადგმის საკითხმა. მოწინააღმდეგეები, რომლებიც ხელმოწერებით აფიქსირებდნენ სურვილს, აღნიშნავდნენ, რომ მიქოიანი იყო ერთ-ერთი, ვინც მთიანი ყარაბაღის აზერბაიჯანის სსრ-სთვის მიკუთვნებას დაუჭირა მხარი, ასევე 1937 წელს პოლიტიბუროს წინაშე ის გამოვიდა ინიციატივით, გაეზარდათ დასახვრეტ ადამიანთა ლიმიტი სომხეთის რესპუბლიკაში, მის ხელმოწერა ფიგურირებს კატინში პოლონელი ოფიცრების, ირკუტსკში 4,000 ადამიანის და სხვა დახვრეტის აქტებზე.⁶⁶



სსრკ შინაგან საქმეთა სახალხო კომისიის, ნიკოლაი ეჟოვის წერილი: „ამხ. სტალინს, ამხანაგი მიქოიანი ითხოვს, რომ სომხეთის ანტისაბჭოთა ელემენტებისგან განმედიდის მიზნით იყოს ნება, დამატებით დაიხვრიტოს 700 ადამიანი დაშნაკებისგან და სხვა ანტისაბჭოთა ელემენტებისგან.“ სტალინის მინაწერი - „ვეთანხმები“ (3ა) И.С.⁶⁷

⁶⁵ სტატია ვებ-გვერდიდან - www.karibche.ambebi.ge. nb.: <https://bit.ly/3fGjW93> (ბოლოს ნანახია: 2 ივნისი, 2021).

⁶⁶ <https://regnum.ru/news/1799773.html> (ბოლოს ნანახია: 2 ივნისი, 2021).

ანასტას მიქოიანი იყო მთავარი პოლიტიკური ფიგურა, რომელიც პარტიამ 1962 წელს ნოვოჩერკასკში მიაგვლინა, როდესაც ქალაქში სოციალურ საკითხზე (პროდუქტებზე 30%-ით ფასების ზრდა) დემონსტრანტები ქუჩაში გამოვიდნენ. საბოლოოდ, 1962 წლის 2 ივნისს, საჯარისო ნაწილებმა ცეცხლი გაუხსნეს ქუჩაში გამოსულებს და, ოფიციალური ვერსიით, 23 დემონსტრანტი დახვრიტეს (არაოფიციალური ვერსიით - 60), 87 მძიმედ დაჭრეს ან დაასახიჩრეს, ასეულობით კი დააკავეს. აგვისტოში გაიმართა საჩვენებელი სასამართლო პროცესი, რომელზეც დახვრეტის განაჩენი კიდევ 7 დემონსტრანტს გამოუტანეს, ხოლო 122-ს ორიდან თხუთმეტ წლამდე პატიმრობა შეუფარდეს.⁶⁸

მეორე მხრივ, სომხეთში არსებობდნენ ადამიანები, რომლებიც ეთანხმებოდნენ ძეგლის დადგმას და აღნიშნავდნენ, რომ კავკასიური რესპუბლიკებიდან რეპრესიების დროს აზერბაიჯანში მოსახლეობის 0,0344%, საქართველოდან - 0,1047%, ხოლო სომხეთიდან 0,0149% დაიხვრიტა. სომხეთის რიცხვი სამჯერ ჩამოუვარდებოდა აზერბაიჯანის პროცენტულ მაჩვენებელს და ათჯერ საქართველოსას, რაც მათი აზრით ანასტას მიქოიანის პირადი დამსახურება იყო.⁶⁹

ნინოწმინდის მუნიციპალიტეტში, სომხეთის საზღვრამდე ბოლო სოფელი არის - ჟდანოვაკანი, რომელიც „შავ კატეგორიაში“ შეყვანილი კომუნისტი ფუნქციონერის, ანდრეი ჟდანოვის სახელს ატარებს, ახალქალაქში კი სოფლებს - კიროვაკანი და ფილიპოვკა, სახელები ეწოდება სერგეი კიროვისა და ფილიპე მახარაძის მიხედვით.

ბოლო ხანებში პრობლემები შეიქმნა მარნეულში ნარიმან ნარიმანოვის ძეგლის რესტავრაციასთან დაკავშირებითაც, რომელიც მარნეულის მერიამ ქალაქის კულტურის სახლის მიმდებარე ტერიტორიაზე 2020 წელს დაიწყო. მარნეულისა და ჰუჯაბის ეპისკოპოსმა, მეუფე გიორგიმ (ჯამდელიანი) ულტიმატუმის სახით მოითხოვა ძეგლის აღება, რამაც აზერბაიჯანულ თემში პროტესტი გამოიწვია. ნარიმან ნარიმანოვი საქართველოში დაიბადა 1870 წელს, მოგვიანებით კი ჯერ ბაქოში გადავიდა საცხოვრებლად, შემდეგ კი - მოსკოვში, სადაც აქტიურად იყო ჩართული ბოლშევიკურ საქმიანობაში, მათ შორის - აზერბაიჯანის გასაბჭოებისა და აზერბაიჯანის პირველი რესპუბლიკის დამხობის პროცესში. მეორე მხრივ, ნარიმანოვი არის მნიშვნელოვანი ფიგურა აზერბაიჯანის ისტორიისა და კულტურისთვის - არა ერთი რომანისა და პიესის ავტორი, პუბლიცისტი და განმანათლებელი, რის გამოც მისი ძეგლი დღემდე დგას ბაქოში და სახელი ეწოდება ერთ-ერთ ცენტრალურ გამზირს. საქართველოსთვის

⁶⁷ Российский государственный архив социально-политической истории (РГАСПИ): фонд 17, опись 166, дело 580, лист 10. დოკუმენტი ასევე გამოქვეყნებულია ალექსანდრ იაკოვლევის ციფრულ არქივში. იხ.: <https://bit.ly/3wOe43s> (ბოლოს ნანახია: 2 ივნისი, 2021).

⁶⁸ იხ. Новочеркасские события 1962 / Н. С. Плотникова // Большая российская энциклопедия : [в 35 т.] / гл. ред. Ю. С. Осипов, М. : Большая российская энциклопедия, 2004—2017.

⁶⁹ <https://www.armmuseum.ru/news-blog/2020/3/13/-stas-namin-schitaet-mikoyama-nevinovnym-v-repressiyah-armyan> (ბოლოს ნანახია: 2 ივნისი, 2021).

ნარიმან ნარიმანოვის ძეგლის აღმართვა პრობლემური საკითხია, ვინაიდან ეს პირდაპირაა დაკავშირებული საბჭოთა წარსულის იდეალიზებასთან, თუმცა მსგავსი საკითხების გადასაჭრელად, ულტიმატუმის ენით საუბრის ნაცვლად, მნიშვნელოვანია საზოგადოებრივი დიალოგის ნახალისება აზერბაიჯანულ და ქართულ თემებს შორის საერთო ისტორიული წარსულის შესახებ. შედეგად, შესაძლებელია შეთანხმების მიღწევა ისეთი ისტორიული ფიგურების თუ მოვლენების წინ წამოწევაზე, რომელთა ისტორიულ როლზეც არ არსებობს აზრთა სხვადასხვაობა ქართველებსა და აზერბაიჯანელებს შორის.⁷⁰

კიდევ ერთ, განსხვავებულ, პრობლემას წარმოადგენს ლენინაკანის ქუჩა ნინოწმინდაში და კიროვაკანის ქუჩა რუსთავში. სომხეთში ამ ორ ქალაქს თანამედროვე სახელები, გიუმრი და ვანაძორი, ეწოდებათ, თუმცა საქართველოში ისინი რატომღაც ისევ საბჭოთა სახელწოდებებით არის შემორჩენილი.

ტოპონიმის ქუჩისთვის დარქმევის ყველაზე საინტერესო შემთხვევაა გორში ღამბარაულის ქუჩის არსებობა. გორის მუნიციპალიტეტის სოფელი ღამბარაული დღესდღეობით აღარ არსებობს და ის ქალაქის ნაწილად იქცა, თუმცა ტოპონიმიკაში ღამბარაულის და არა გორის მუნიციპალიტეტის სხვა ათეულობით სოფლიდან რომელიმეს მოხვედრა, სავარაუდოდ, განაპირობა იმ ფაქტმა, რომ სოფელ ღამბარაულში 1858 წელს დაიბადა ეკატერინე (კეკე) გელაძე, სტალინის დედა.⁷¹


⁷¹ E.C. Stanton, Encyclopedia of Motherhood, Volume 1, SAGE Publications, 2010, p. 1160 (Stalin, Joseph, Mother of).

აღნიშნული კვლევა საფუძველს იძლევა დასკვნის სახით გამოიკვეთოს რამდენიმე ძირითადი ტენდენცია და პრობლემა: საქართველოში დღემდეა შემორჩენილი 41 ქუჩა, 7 სოფელი და 1 დაბა, რომელიც ისეთი პიროვნების ან ორგანიზაციის სახელს ატარებს, რომელსაც დანაშაული აქვს ჩადენილი საქართველოს ან/ და კაცობრიობის წინაშე; 100-მდე, რომლის სახელიც საბჭოთა სიმბოლიკასთანაა დაკავშირებული და 7 ისეთი სახელწოდება, რომელიც რუსიციზმთან/რუსულ ტოპონიმიკასთანაა კავშირში. ჯამში, შესწავლილი 80 დასახლებული პუნქტიდან, საბჭოთა სახელწოდებები სრულად აღმოფხვრილია 34 დასახლებულ პუნქტში, ხოლო 46 დასახლებულ პუნქტში ისინი კვლავაც ფიგურირებს, რაც „თავისუფლების ქარტიის“ პირდაპირი დარღვევაა, შესაბამისად, ხელისუფლებისა და თვითმმართველობების მოვალეობაა დროულად მოახდინონ აღნიშნული სახელწოდებების იდენტიფიცირება და აღმოფხვრან ისინი. აგრეთვე, საყურადღებოა, რომ საქართველოს რიგ დასახლებული პუნქტებში ქუჩებს აქვთ იმგვარი სახელწოდებები, რომელსაც თანამედროვე რუსული პროპაგანდა აქტიურად იყენებს. ამასთანავე, გამოცდილებამ აჩვენა, რომ ეთნიკური უმცირესობებისთვის სენსიტიური ისტორიული ფიგურების სახელების გამოყენება/ შეცვლა ან მათი ძეგლების დადგმა/აღება შესაძლოა იქცეს ეთნიკურ ნიადაგზე შუღლის გაღვივების წყაროდ. ამიტომ, მნიშვნელოვანია, რომ ხელისუფლებამ წახალისოს კონსტრუქციული დიალოგი საერთო ისტორიული წარსულის შესახებ. შედეგად, შესაძლებელია შეთანხმების მიღწევა ისეთი ისტორიული ფიგურების თუ მოვლენების წინ წამოწევაზე, რომელთა ისტორიულ როლზეც არ არსებობს აზრთა სხვადასხვაობა სხვადასხვა ეთნიკურ ჯგუფს შორის.


მოსახლეობა და ოფიციალური პირები, სამწუხაროდ, ხშირად ვერ აცნობიერებენ რა სიმბოლური და პრაქტიკული მნიშვნელობის მატარებელია ქუჩების სახელწოდებები, რისი დასტურიცაა ზუგდიდში ბერიას ქუჩის საკითხი, ზესტაფონის მერიის თანამშრომლის პასუხი ქალაქში კრიმინალური ავტორიტეტის ქუჩის სახელწოდების შესახებ, თბილისის საკრებულოსა და მერიის მიერ წლების მანძილზე, გამუდმებული თავის არიდება მოსკოვის გამზირისთვის სახელის გადარქმევაზე და საკითხის სხვა განზომილებაში გადაყვანა. ამ დროს, სახელმწიფოს მეხსიერების პოლიტიკის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი განზომილება ქუჩების სახელდებაა. ამ გზით ხელისუფლება ამყარებს არსებულ სოციოპოლიტიკურ წესრიგს, აყალიბებს კოლექტიური წარსულისა და მომავლის ხედვას, ქმნის ახალ ეროვნულ ნარატივებს და აქცევს მას ურბანული სივრცის ნაწილად. ამგვარად, ქუჩების სახელწოდებები მეტყველებს სახელმწიფოს ხედვასა და ღირებულებებზე. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ საბჭოთა წარსულის გააზრება, კომუნისტური რეჟიმის დანაშაულების ადეკვატური შეფასება და მსხვერპლთა სახელის უკვდავყოფა დემოკრატიზაციის პროცესის განუყოფელი ნაწილია. ამ კუთხით, ქუჩების სახელდება შესაძლებელია მნიშვნელოვანი როლი ითამაშოს, რადგან ეს ერთ-ერთი ეფექტური საშუალებაა იმისთვის, რომ ტოტალიტარული კომუნისტური სიმბოლიკა ახალი, დემოკრატიული იდეების გამომხატველი სიმბოლოებით ჩანაცვლდეს.

აქვე საყურადღებოა, რომ ინფორმაცია სახელების ცვლილებაზე Google-ის საძიებო სისტემაში დაგვიანებით აისახება. საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს მიერ

შექმნილი ახალი საკადასტრო რუკა საიტიდან - www.napr.gov.ge საერთაშორისო საძიებო სისტემის, Google Maps-ის, რუკების მონაცემებზე ზუსტია. მაგალითად, დუშეთის ცენტრალურ გამზირს Google-ის რუკაზე კვლავ სტალინის სახელი ეწოდება. 2021 წლის 27 აპრილს ზუგდიდის მუნიციპალიტეტმა ოფიციალურ ფეისბუქის გვერდზე გამოაქვეყნა ვიდეო, რომელზეც გზების სარემონტო სამუშაოების გამო ქალაქში შეცვლილი გადაადგილების მარშრუტები იყო განმარტებული. ვიდეოში ფიგურირებდა და ნარატორიც ახსენებდა სტალინის ქუჩას, რომელიც ზუგდიდში აღარ არსებობს, თუმცა, ვინაიდან ვიდეოსთვის რუკა Google Maps-ის სისტემიდან იყო აღებული, დაშვებული იყო შეცდომა. მოგვიანებით, ზუგდიდის მუნიციპალიტეტის ფეისბუქის გვერდმა ვიდეო წაშალა.



დუშეთის მისამართები Google Maps-ზე



ზუგდიდის მუნიციპალიტეტის მერიის ოფიციალური ფეისბუქ გვერდის ვიდეოს კადრი

7 ივნისი 2011 წელი

ზუგდიდის მუნიციპალიტეტის საკრებულოს

გ ა ნ კ ა რ გ უ ლ ე ბ ა №68

ზუგდიდის მუნიციპალიტეტის ქუჩის სახელწოდების შეცვლის თაობაზე

დამტკიცებული თვითმმართველობის შესახებ საქართველოს ორგანული კანონის მე-16 მუხლის მე-2 პუნქტის „ძ“ ქვეპუნქტის, „ზუგდიდის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე ქუჩების, ხეივანების, შესახვევების, ჩიხების, მოედნების, სკვერების, ბულვარებისათვის სახელწოდების მინიჭებისა და მრავალბინიანი სახლების სადარბაზოების, ბინების ნუმერაციის წესის დამტკიცების თაობაზე“ ზუგდიდის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2011 წლის 16 მაისის N18 დადგენილებისა და ზუგდიდის მუნიციპალიტეტის გამგეობის 2011 წლის 25 მაისის N06-1/479 მომართვის შესაბამისად:

ზუგდიდის მუნიციპალიტეტის საკრებულომ მიიღო განკარგულება:

1. ზუგდიდის მუნიციპალიტეტის სტალინის ქუჩის ეწოდოს გამარჯვების ქუჩა;
2. მიღებული განკარგულების შესახებ ეცნობოს საქართველოს იუსტიციის სამინისტროს საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს ზუგდიდის სარეგისტრაციო სამსახურს, საქართველოს იუსტიციის სამინისტროს სამოქალაქო რეესტრის ზუგდიდის სამსახურს, №67 საოლქო საარჩევნო კომისიას და ზუგდიდის მუნიციპალიტეტის გამგეობას;
3. ქუჩის სახელწოდების შეცვლა და ნუმერაცია დავალოს ზუგდიდის მუნიციპალიტეტის გამგეობას;
4. განკარგულება ძალაში შევიდეს გაცნობისთანავე;
5. განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს ერთი თვის ვადაში, ზუგდიდის რაიონულ სასამართლოში. (მის.ზუგდიდი, გრ.ქობულაძის ქ.№12).



ლ. კონჯარია

ზუგდიდის მუნიციპალიტეტის საკრებულოს
თავმჯდომარე

**ზუგდიდის მუნიციპალიტეტის საკრებულოს
2011 წლის 7 ივნისის №68 განკარგულება
სტალინის ქუჩისთვის სახელის გადარქმევისა და
გამარჯვების ქუჩის დარქმევის თაობაზე**

- მუნიციპალიტეტებმა, ქალაქებმა აქტიურად უნდა იმუშაონ სახელწოდებების ცვლილების კუთხით, განსაკუთრებით თუ სახელწოდებები იმ პიროვნებებს, მოვლენებს, ორგანიზაციებს და ა. შ. უკავშირდებათ, რომლებსაც მიუძღვით განსაკუთრებული დანაშაული საქართველოს/ კაცობრიობის წინააღმდეგ;
- უნდა დაიგეგმოს და წარიმართოს აქტიური საინფორმაციო კამპანია იმ დასახლებულ პუნქტებში, სადაც მოსახლეობა ეწინააღმდეგება ამა თუ იმ ტოპონიმის გადარქმევას;
- საქართველოს იმ მუნიციპალიტეტებში, რომლებშიც დასახლებულნი არიან ეთნიკური უმცირესობის წარმომადგენლები, ძირითადად სომხები და აზერბაიჯანელები, საკითხის მიმართ საჭიროა ფრთხილი და დაკვირვებული მიდგომა. ადგილობრივ მოსახლეობასთან უნდა ჩატარდეს კამპანია მათთვის გასაგებ ენაზე. მათ უნდა მოუყვნენ რეალურ ისტორიას წარმართული ნაწარმის ან ანასტას მიქოიანის საქმიანობის შესახებ, რომელიც მიმართული იყო აზერბაიჯანელი და სომეხი ერისა და მათი პირველი რესპუბლიკების წინააღმდეგ: პირველმა დემოკრატიული რესპუბლიკა გააწითლა, ხოლო მეორემ მრავალი თანამემამულე იმსხვერპლა. საუკეთესო გამოსავალი იქნება, თუ აღნიშნულ მოღვაწეთა სახელები ჩანაცვლდება იმგვარად, რომ ამან არ გამოიწვიოს ეთნიკურ ნიადაგზე უთანხმოება. საქართველოსთან დაკავშირებულია არაერთი ღირსეული აზერბაიჯანელი და სომეხი მოღვაწე, რომლებიც იღწვოდნენ როგორც საკუთარი ერისთვის, ისე საქართველოს სახელმწიფოებრიობისთვის, შესაბამისად, სიმბოლური და მნიშვნელოვანი ჟესტი იქნება, თუ ქუჩებს დაერქმევა მათი სახელები;
- „თავისუფლების ქარტიის“ პრინციპების აღსრულების უზრუნველსაყოფად, უნდა დაკომპლექტდეს სპეციალური კომისია, რომელიც ამა თუ იმ სახელწოდებას ინდივიდუალური წესით შეაფასებს და შეიმუშავებს რეკომენდაციებს სახელწოდების ცვლილების ან მისი დატოვების შესახებ.

